№ 53
(11 305)
13 – 15 ივლისი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან






ბრაზილია – არგენტინა

### კალათბურთში კადეტთა ევროპის ჩემპიონატის წინ

# მიდიან, მიუხარიათ...



ქართული სპორტის გულშემატკივარს გული გაუტყდა და მობეზრდა კიდეც სპორტის სათამაშო სახეობებში ამდენი ფუჭი დაპირებები და უსაფუძვლო ბაქი-ბუქი. განა ერთხელ და ორჯერ? იგივე ითქმის კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებზე. ახლა უფროსი კოლეგებისგან ესტაფეტა კადეტებმა მიიღეს და საქვეყნოდ აცხადებენ: „შევიკრიბეთ, დავთქვით, რომ მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ!“ ჩემპიონობაში კი, იცით, ევროპაში კადეტთა შორის უძლიერესის სახელის მოპოვება იგულისხმება. ეს ასპარეზობა 14 ივლისს დაიწყება სლოვენიაში. მერედა, ვისთან ვაპირებთ მოგებას? სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, რუსეთისა და იუგოსლავიის ნაკრებებთან, რომლებიც წინა ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ძალიან გვინდა, რომ ჩვენების ეს ქადილიც ამაო არ გამოდგეს.

სლოვენიაში გამგზავრებამდე საქართველოს კადეტებმა, რამდენიმე მატჩი ჩაატარეს და ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი უნარიან, ახლებურად მოაზროვნე და გონიერი დამრიგებლის სახელს იმკვიდრებს. იგი ოპტიმისტია და შეგირდებისთვის ოსტატის ოპტიმიზმი ნამდვილად გადამდებია. ბიჭებმა შეკრება თბილისში გაიარეს, დაფინანსებას ყოფილ კალათბურთელს პ. შარაშენიძეს უმადლიან, ამჯერად, როგორც არასდროს, ნაკრებისადმი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა თვით ფედერაციამ და თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ...

ნ. უსუფაშვილი

## იტალიელი მწვრთნელი ალბათ დარჩება ბათუმში

ალბათ, ვამბობთ იმიტომ, რომ ჯონი კარნევალე, იტალიელი საფეხბურთო სპეციალისტი, უცხოეთის ქვეყანაში თავისი შესაძლებლობების შემოწმებას საქართველოში, კერძოდ ბათუმში მოღვაწეობით იწყებს, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა. ბათუმში იგი „დინამოს“ მწვრთნელად მიიწვიეს გუნდიდან შოთა ჭეიშვილის წასვლის შემდეგ. ვარაუდობენ, რომ კარნევალე ბათუმში ალბათ 3 წელიწადს იმუშავებს. იტალიელი წინდახედული გამოდგა — ვიდრე კონტრაქტს მოაწერს ხელს, ჯერ აჭარის ხელისუფლებას, პირადად ასლან აბაშიძეს შეხვდა, თავისი გეგმები გააცნო, გარკვეული გარანტიებიც მიიღო. ეს გარანტიები ფაქტობრივად, საერთოდ, აჭარაში ფეხბურთის განვითარებისა და ბათუმის „დინამოს“ აღმავლობის პროგრამიდან გამომდინარეობს, რაც, როგორც იუწყებიან, უკვე შემუშავდა და პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც იდგმება.

„ბუმათე“ — „ლელო“

## ბოსკამპი ძიებაშია

გრძელდება თბილისის „დინამოს“ შეკრება ჰოლანდიაში. ჩვენებმა მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარეს — ბოსკამპის შეგირდების მეტოქე რუმინეთის ჩემპიონი ბუქარესტის „რაპიდი“ იყო. დინამოელთა რიგებში სამი უცხოელი თამაშობდა — მაკედონიელი მეკარე სილევსკი და ორიც ფორვარდი (განელი და ბრაზილიელი). მათ ვერაფრით გამოიჩინეს თავი და უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენებურთა დამრიგებელი აღარ მოუხმობს ამ ფეხბურთელებს. თვით მატჩი კი „დინამომ“ წააგო 1-2. რუმინელები თავიდან ორი ბურთის სხვაობით გვიგებდნენ, ხოლო დინამოელთა ვეტერანმა კახი გოგიჩაიშვილმა მინიმალური სხვაობით მარცხს დაგვაჯერა.

გუნდში მხოლოდ ვარჯიშობენ და ჯერ საკონტროლო მატჩებში არ უთამაშიათ ვალტერ გუჩუასა და აკაკი დევაძეს. „რაპიდთან“ არ გამოსულან მინდორზე ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი და ხიზანიშვილი — ისინი ხომ ჩვენი 18 წლამდელთა ნაკრების წევრები არიან და ბოსკამპმაც რუმინელებთან მატჩსაც აარიდა. ეს სამეული უკვე შეუერთდა ნაკრებს, გერმანიაში, სადაც გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე შეკრებაზე იყო, ხოლო 12 ივლისს უკვე ტურნირის მასპინძელ ქვეყანას — შვედეთს ესტუმრა.



კოლუმბია – ჩილე

## ნახევარფინალებში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

13.07. ურუგვაი – ჩილე
14.07. ბრაზილია – მექსიკა

იხ. მე-3 გვ.

## ამერიკელმა ქალებმა ევროპული ფეხბურთი აჩუქეს ამერიკას



ქალთა ჩემპიონატის მატჩებს აშშ-ს პრეზიდენტი ბილ კლინტონიც ესწრებოდა

• • •

ფეხბურთში ქალთა III მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული აშშ-ს ნაკრები

იხ. მე-4 გვ.






იხ. მე-6 გვ.

## ბაადურ ჯობავას წარმატებები

*15 წლის გალელი მოჭადრაკე ბაადურ ჯობავა, რომელიც მალე ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში დაიცავს საქართველოს სახელს, კარგა ხანს ხარკოვში ცხოვრობდა, სადაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1998 წლის მიწურულში მან პირველი ადგილი დაიკავა ხარკოვის ოლქის ჩემპიონატში, სადაც გაუსწრო 4 დიდოსტატსა და 8 საერთაშორისო ოსტატს. აქ ბაადურმა საერთაშორისო ოსტატის ნორმას გადააჭარბა. წლეულს ბაადურ ჯობავამ პირველი ადგილი დაიკავა ხარკოვის საერთაშორისო ტურნირში, სადაც 124 მონაწილე შვეიცარიული სისტემით 9 ტურად თამაშობდა.*

## ევროპის ყველა ჩემპიონატი



იხ. მე-5 გვ.

საფრანგეთი 1984

### საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული წარმატებები ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში

1 იანვარი — 1 ივლისი 1999 წ.

| | I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|
| მსოფლიოს ჩემპიონატი | 1 | 1 | 1 | 3 |
| მსოფლიოს თასი | 5 | 2 | 1 | 8 |
| ევროპის ჩემპიონატი | 1 | 1 | 9 | 11 |
| ევროპის პირველობა | 4 | 5 | 13 | 22 |
| სულ: | 11 | 9 | 24 | 44 |

მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი, დაიპყრო ორმა ქართულმა ექსპედიციამ.

### საქართველოს სპორტული ფედერაციების მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში

1 იანვარი — 1 ივლისი 1999 წელი

| ფედერაციის დასახელება | ო | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| ტყვიის სროლა | 2 | 1 | — | 3 |
| ბ/რ ჭიდაობა | 2 | 1 | 3 | 6 |
| სამბო | 5 | 5 | 13 | 23 |
| ტაილანდური კრივი | 1 | 1 | 1 | 3 |
| თავისუფალი ჭიდაობა | — | 1 | 5 | 6 |
| ძიუდო | — | — | 2 | 2 |
| ბატუტი | 1 | — | — | 1 |
| სულ: | 11 | 9 | 24 | 44 |

**ალპინიზმი.** მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ „ევერესტზე“ ავიდა ორი ქართული ექსპედიცია.

**ლარის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი - 1.9300 ლარი.**

### არჩევნები

## ნასტასეს და სხვებს რიჩი ბიტიმ აჯობა

6 კანდიდატურა, მათ შორის ცნობილი ილიე ნასტასე იყრიდა კენჭს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე. იტალიელმა რიჩი ბიტიმ ყველა კონკურენტი „დატოვა მშრალზე“ — 345 დელეგატიდან 173-მა ხმა მის სასარგებლოდ მისცა. სხვაზე რაღა ვთქვათ, როცა თვით ნასტასე აღმოჩნდა, როგორც იტყობინებიან, „ჩაწყობის“ მსხვერპლი.

## მაკინროის დიდება მაინც დაფასდა

ჩოგბურთის ამერიკელი ვარსკვლავი ჯონ მაკინროი მსოფლიოს ჩოგბურთის დიდების დარბაზის წევრად აირჩიეს. თვლიან, რომ ეს პატივი მას დაგვიანებით მიაგეს. მიზეზად კი „ჩოგბურთის მამებთან“ მის გაუთავებელ კონფლიქტებს და ფიცხ ხასიათს ასახელებენ.

**კრივი** | **კადეტთა საქართველოს პირველობა**

# გზა ევროპისკენ ლაგოდეხზე გადის

*ჩვენს კადეტ-მოკრივეებს, რომელთა შეხვედრებს ლაგოდეხმა უმასპინძლა, სულ მალე მეტად სერიოზული გამოცდა ელით, როცა აზერბაიჯანის დედაქალაქის რინგზე წარსდგებიან თანატოლთა (16 წლამდე) ევროპის პირველობაზე. ლაგოდეხის სარბიელს უნდა გამოევლინა ის მოკრივეები, რომელთაც კონტინენტის ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა მიენდობათ. ამ უფლებისათვის საქართველოს 20 ქალაქის და რაიონის 131 სპორტსმენი იბრძოდა.*

**42 კგ:** 1. ვალერი აბდუშელიშვილი (ლაგოდეხი), 2. ცოტნე ცანავა (აჭარა), 3. ედუარდ თოდუა (ნარაზანი), სარქის მადოიანი (ნინოწმინდა).
**45 კგ:** 1: ლაშა ოჩიგავა (ფოთი), 2. დიტო გულიაშვილი (ვარიანი), 3. გიორგი ყურაშვილი (ქუთაისი), კონსტანტინე კუპატაძე (თბილისი);
**48 კგ:** 1. კახა ქვანია (თბილისი), 2. გიგა მანია (ქუთაისი), 3. აკაკი ჭილლაძე (ფოთი), ოთარ ნონიკაშვილი (გორი).
**51 კგ:** 1. ტარიელ ზანდუკელი (თბილისი), 2. გიორგი გუჯაბიძე (ფოთი), 3. ლევან ცინცაძე (თბილისი), რეზო ქართველიშვილი (ვარიანი).
**54 კგ:** 1. გიორგი უნგიაძე (გორი), 2. ქრისტო გოგიაშვილი (ვარიანი), 3. ლაშა გურაბანიძე (თბილისი), კობა ქარქაშაძე (ფოთი).
**57 კგ:** 1. ლაშა ადამია (ფოთი), 2. სერგო განჯელაშვილი (თბილისი), 3. გელა ჭოჭუა (ფოთი), გიორგი გურგულიანი (მესტია).
**60 კგ:** 1. მანუჩარ შიშინაშვილი (თბილისი), 2. დათო არჯევანიშვილი (გურჯაანი), 3. გიორგი ტურაშვილი (ვარიანი), დათო ლვამეჩავა (ფოთი).
**63 კგ:** 1. ვახტანგ ხიზანიშვილი (ვარიანი), 2. კარენ არუთინიანი (ახალციხე), 3. მამუკა გიგანი (გარდაბანი), ხვიჩა სულაბერიძე (ქუთაისი).
**66 კგ:** 1. გოჩა ნავერიანი (მესტია), 2. მალხაზ კაკაური (თბილისი), 3. ლაშა აგლემაშვილი (ახალციხე), გელა კალანდია (თბილისი).
**69 კგ:** 1. ირაკლი ლიპარტელიანი (თბილისი), 2. ზურაბ ფალიანი (მესტია), 3. არჩილ ბირთველიშვილი (გორი), ლევან ბოჭორიშვილი (თელავი).
**73 კგ:** 1. ხვიჩა მესტოევი (თბილისი), 2. იუზა გულორდავა (ფოთი), 3. ქიული საროიანი (აჭარა).
**77 კგ:** 1. ბესო ხუტუაშვილი (თელავი), 2. გოგა აბულაძე (ვარიანი), 3. დათო დუნდუა (თბილისი), გიორგი კვაშილავა (თბილისი).
**81 კგ:** 1. ლაშა აბულაძე (ზესტაფონი), 2. გიორგი მაზმიშვილი (ვარიანი), 3. კახა ბუზალაძე (ლაგოდეხი), ვახტანგ მაისურაძე (თბილისი).
**+81 კგ:** 1. მურმან ნეფარიძე (თბილისი), 2. ირაკლი ჭანტურია (ფოთი), 3. რუზგენი ქარდავა (თბილისი), გელა გაგნიძე (თელავი).

# ხონში იპოდრომი აღადგინეს და ცხენოსნობის აღორძინება დაიწყეს



ხონის სპორტკომიტეტის (თავმჯდომარე ომარ წიწნივაძე) და ადგილობრივი გამგეობის თაოსნობით რესტავრირებულია ერთ დროს საუკეთესო და შემდგომში მივიწყებული ხონის იპოდრომი.

რაიონში ცხენოსნობის აღორძინებას სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმის ადგილობრივი ენთუზიასტები ბოჩია კიკაბიძე, დიმიტრი ავალიანი და რაულ ჩხენკელი. დიმიტრი ავალიანის თაოსნობით რაიონში შემოიყვანეს რამდენიმე წმინდა სისხლის ინგლისური ცხენი. ხონში კერძო საკუთრებაშიც მრავლად ჰყავთ ცხენები. მათი მეპატრონეები სიხარულით შეხვდნენ სპორტის ამ სახეობის აღორძინებას. ამას წინათ, მოეწყო იპოდრომის საზეიმო გახსნა, რომელშიც ქუთაისელმა ცხენოსნებმაც მიიღეს მონაწილეობა. ახლო მომავალში გათვალისწინებულია კეთილმოწყობის სამუშაოების განახლება. კერძოდ, შემოილობება იპოდრომის ტერიტორია, გაკეთდება გრძელი სკამები მაყურებლისათვის, მხედრებისათვის მოეწყობა გასახდელი და საშხაპე. დამონტაჟდება რადიოკვანძი.

**დემურ ტორაძე,**
**„ლელოს" კორ. ხონი.**

*სიდნეი–2000 ● ჩვენი კანდიდატები*

# სოსო ლიპარტელიანი (ძიუდო)






*დაიბადა* 1971 წლის 3 თებერვალს ლენტეხში.
*ზოდიაქო* — მერწყული
*სიმაღლე* — 178 სმ, წონა — 81 კგ.
*სპორტსაზოგადოება* „შევარდენი".
*მწვრთნელები* — გურამ გუგავა, ბერდია გუგავა. ძიდაობა დაიწყო 1985 წელს. პირველ წარმატებას მიაღწია 1987 წელს — საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე I ადგილი დაიკავა.
*საუკეთესო შედეგები:* 1989 წ. ქ. ურალსკი პროფკავშირთა საკავშირო შეჯიბრება — I ადგილი, 1989 წ. ქ. ყარაგანდა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი — I ადგილი, 1993 წ. ათენი (საბერძნეთი) ევროპის ჩემპიონატი — II ადგილი, 1994 წ. ქ. ომსკი, — მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში — III ადგილი, 1996 წ. ატლანტა, ოლიმპიური თამაშები — III ადგილი.
*დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.*
*დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით (1998 წ.)*

● *სოსო, საუბარი დავიწყოთ ბრატისლავით. მკითხველთათვის საინტერესოა გვიამბოთ რა მოხდა იქ ევროპის ჩემპიონატზე, ნუთუ არ შეგეძლოთ მედლის მოპოვება?*

— პირველ წრეში შევხვდი ბოსნია-ჰერცოგოვინის წარმომადგენელს ნადჩიკს, რომელიც 10:0 დავამარცხე.

II წრეში პორტუგალიელ დელგადოსთან დავმარცხდი. შემდეგ იგი ფინალში გავიდა და ევროპის ჩემპიონიც გახდა. დამამშვიდებელ ჯგუფში წმინდად ვაჯობე უკრაინელ გრეკოვს, შემდეგ უნგრელ კანცლერს, და ესპანელ დომენექს. მესამე ადგილისთვის შეხვედრა მომიწია ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან — ფრანგ ჯამელ ბოურასთან. ძიდაობა აქტიურად დავიწყე. პირველსავე წუთზე ჩემი საყვარელი ილეთით — ფეხიდან აყვანით და დატრიალებით მეტოქე „იპონზე" დავაგდე, მაგრამ მსაჯებმა განგებ „ვაზარით" შეაფასეს. ერთმა — „იპონი" დააფიქსირა, ორმა — „ვაზარი". კვლავ შევუტიე და იგივე ილეთით, იგივე გდება გავიმეორე, არც ამჯერად მომცეს „იპონი", მხოლოდ „იუკო" გაიმეტეს. მოკლედ, მსაჯებმა ყველაფერი იღონეს ჩემზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებისათვის. როცა ბოურამ ანგარიში „გამითანაბრა", მსაჯებმა გამოსავალს მიაგნეს — გაფრთხილება მომცეს, რაც ბოურას გამარჯვებას უდრიდა. შედეგის გამოცხადების შემდეგ ჩემპიონატის სამეთვალყურეო საბჭომ — ჟიურიმ, სპეციალურად იმსჯელა ამ შეხვედრის შესახებ და ორ მსაჯს არაობიექტურობისათვის ორ-ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცეს.

● *თუ არ ვცდები, ატლანტის ოლიმპიადაზე განმეორდა მსგავსი რაღაც. გიჭირთ ასპარეზობის დროს მსაჯების მიერ გამოწვეული უსამართლობის გრძნობის დაძლევა?*

— რასაკვირველია, არაობიექტურობამ ხომ საბოლოო შედეგზე იმოქმედა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ თქვენი თავი ჩემს მდგომარეობაში, როდესაც ოლიმპიურ ჩემპიონს ტატამზე ორჯერ „იპონზე" ანარცხებ და მსაჯები არ გითვლიან, ბუნებრივია, ითრგუნები ფსიქოლოგიურად. და ამას იქვე ემატება დამატებითი გალიზიანების ახალი დოზა — გაფრთხილება.

● *როგორც ევროპის ჩემპიონატმა გვიჩვენა, სიდნეიში ოლიმპიური თამაშების მედლებისათვის ბრძოლაში ორი კონკურენტი აშკარად გამოკვეთილია — პორტუგალიელი დელგადო და ფრანგი ბოურა. კიდევ ვის თვლით თქვენს მთავარ კონკურენტად?*

— კორეელ ჩო ინ ჩულს, რომელმაც ჩემთან ერთად ატლანტაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

● *რომელ შეჯიბრებაზე აპირებთ სიდნეის ლიცენზიის მოპოვებას?*

— ძირითადი შეჯიბრება, სადაც საგზურის მოპოვება მაქვს დაგეგმილი, ესაა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც გაიმართება 7-10 ოქტომბერს ინგლისის ქ. ბირმინგემში. იქ I-VIII ადგილზე გასული სპორტსმენები სიდნეიში იასპარეზებენ.

● *ოლიმპიადისთვის მზადება როგორ მიმდინარეობს?*

— ჩვენი ნაკრები სამ ეტაპად ემზადება. ესაა „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა. 2000 წლის პირველი ნახევარი გადამწყვეტია. მზადება ნორმალურად მიმდინარეობს. ძირითადად თბილისში, ძიუდოს დარბაზში ვმეცადინეობთ. ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური ვარჯიშისათვის, არის ცხელი წყალი, სასტუმრო და კვების ბლოკი. ჯერჯერობით მზადებაში არავითარი პრობლემები არ არის. თავისუფალი დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ ისიც მკაცრადაა განაწილებული.

● *ატლანტიდან დაბრუნების შემდეგ „ლელოს" კორესპონდენტს განუცხადეთ, რომ ცოლის შერთვას აპირებდით...*

— ჩემი სიტყვა შევასრულე, დავქორწინდი, ჩემი მეუღლე გახდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნონა მიქაძე, შეგვეძინა ჩვენი სიხარული — ვაჟი ირაკლი, რომელიც ახლა წლინახევრისაა.

● *ძიუდოისტთა შორის ერთ-ერთი პირველი თქვენ დაჯილდოვდით ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ღირსების ორდენით...*

— ნებისმიერი ჯილდო დიდი სტიმულია, განსაკუთრებით — ღირსების ორდენი. ამ ჯილდოში ყველას წვლილია, ვინც შემაყვარა ძიდაობა, ხელი შემიწყო და გამუდმებით ზრუნავს ჩემს სპორტულ წარმატებებზე.

● *ატლანტაში საქართველოს დელეგაციას პირველი სიხარული და პირველი მედალი თქვენ მოუტანეთ. სიდნეიში რით გაგვახარებთ?*

— იმედი მაქვს გულშემატკივრებს არ გავაწბილებ, თუ ატლანტის ოლიმპიადაზე მხოლოდ ხუთთვიანი ინტენსიური ვარჯიშით ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, ამჯერად, როცა ვარჯიშისა და მზადების ნორმალური პირობები გვაქვს, უკეთეს შედეგს რატომ არ უნდა მივაღწიოთ მეც და სხვებმაც?

ესაუბრა
**იური იმერლიშვილი**

# „რაინდულო საქართველოვ, აღსდექ!

## „ქართული ჭიდაობის ამოუცნობი ფენომენი"



ახლახან, თბილისში, შევხვდი იაპონური საბრძოლო ხელოვნებების საკმაოდ ცნობილ, დიდოსტატს (10 დანი) მშვენიერ პიროვნებასა და რაინდს, ბატონ ნანბუს, რომელიც თავგამოდებითაა შეყვარებული თავის სამშობლოზე, ისტორიაზე, სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობაზე და საბრძოლო ხელოვნება — „კარატე-დო"-ზე. იგი ამ იაპონური საგანძურის დიდი პროპაგანდისტია და უშურველად ეხმარება ყველას, ვინც დახმარებისათვის მიმართავს. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმაც სთხოვეს გვწვეოდა და ჩამოვიდა კიდეც დასახმარებლად.

ძალიან გულთბილად შემხვდა. ჩვენს შორის უმალვე დამყარდა ურთიერგაგების მეგობრული ატმოსფერო. მით უფრო, როცა გაიგო, რომ საბრძოლო ხელოვნების („კარატე-დო") ჩემი პირველი მასწავლებელი 1972 წელს იაპონელი ოსტატი სატო იყო და ახლანდელი ჩემი მასწავლებელიც, თაი-ძი ციუანში, იაპონელი ოსტატი ტოიო კობაიაშია. მან სიამოვნებით გამაცნო საკუთარი საბრძოლო ხელოვნების მიმართულების არსი — პიროვნების ფიზიკური და სულიერი სრულყოფის საფეხურები. ესაა მშვენიერი სისტემა, რომლითაც მას შეუძლია იამაყოს.

საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ ოცდაშვიდმა წელმა, რომელიც იაპონური და აღმოსავლური ქვეყნების საბრძოლო ხელოვნებების შესწავლა-ათვისებაში და ამ ხელოვნებების საუკეთესო ოსტატებთან ურთიერთობაში გავატარე, მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მათ აქვთ სრულყოფილი, ღრმად გააზრებული საბრძოლო ხელოვნებების სისტემები. ეს სისტემები ჰარმონიაშია დედამიწის, ადამიანისა და კოსმიურ ენერგიებთან, დაფუძნებულია ფილოსოფიურ მოძღვრებებზე, კოსმიურ კანონებზე, ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, გათვალისწინებულია იზოთერული და ეგზოთერული მეცნიერების თითქმის ყველა ნიუანსი. რასაკვირველია, ყველაფერ ამას ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ.

საუბარში მივხვდი, რომ მას საქართველოსა და მის ისტორიაზე ძალიან მწირი წარმოდგენა ჰქონდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, რუკაზე საქართველო ძლივს აღმოუჩენია. მოკრძალებით შევეკითხე:

— იცით თუ არა რაიმე ქართველთა საბრძოლო ხელოვნებების ტრადიციებსა და ისტორიაზე? მან ასევე მოკრძალებულად თავი გაიქნია.

— არც ქართველთა სულიერი სრულყოფის სკოლებზეც გსმენიათ? შევატყვე ამ შეკითხვაზე, საერთოდ, თავი უხერხულად იგრძნო... და უმალვე გავიფიქრე, თუ რას ნიშნავს იყო მრავალრიცხოვანი და თანაც მდიდარი ქვეყნის შვილი. მისი სამშობლო იაპონია, სადაც 100 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (თანაც, ის იაპონელი, რომელიც იაპონიის გარეთ იბადება, იაპონელად არ ითვლება), ასეულობით მილიონ დოლარს ხარჯავს, უშვებს უამრავ მხატვრულ ფილმებს, წიგნებს, აწყობს ფესტივალებს, შეჯიბრებას და ა.შ. იმისათვის, რომ დედამიწაზე ყველამ იცოდეს, ვინ არიან სამურაები და რას წარმოადგენს მათი „ბუსიდო" (რაინდული ცხოვრებისა და ქცევის წესები), რა არის „კარატე-დო", „ძიუ-დო", „კენ-დო", „აიკი-დო", „ძიუ-ძიცუ", „სუმო", რას შეიცავს მათი „ძენი" ანუ იაპონელი რაინდის სულიერი სრულყოფის მეთოდი.

რა უნდა ილონოს ხუთმილიონიანმა საქართველომ (ალბათ ხუთი მილიონი ტოკიოს ერთ-ერთ პატარა რაიონში ცხოვრობს) და ამასთანავე მატერიალურად ასე ღარიბმა თავისი სულიერი, ისტორიული და საბრძოლო ხელოვნებების ტრადიციებით კი ასე მდიდარმა პატარა ქვეყანამ, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ქართული საბრძოლო ხელოვნებების სიღრმითა და სიძლიერით ასპექტში აჭარბებს კიდეც?

მაგალითისათვის გავიხსენოთ ჩვენი საბრძოლო ხელოვნებების ერთი თვალსაჩინო საგანძური — ქართული ჭიდაობა. ერთ-ერთ ოლიმპიურ თამაშებში კიმონოში „გახვეულმა" ქართველმა ფალავანმა, ფინალში, „გარე ფეხჩაკეტილი მოგვერდით" (იხ. სურათი) დასცა ტატამზე იაპონელი მეცხრე დანის მოჭიდავე. ეს დიდი ოსტატობის მაჩვენებელია! იმ ჩვენმა ძიუდოისტმა ამ ილეთით ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო.

„ძიუ-დო"-ში იაპონელებმა პირველი „დარტყმა" მიიღეს ტოკიოში 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ჰოლანდიელმა გოლიათმა ჰეესიკმა ფინალში დაამარცხა იაპონელი მეათე დანის მფლობელი. მაშინ მთელი იაპონია შეძრა ამ ფაქტმა; „ბუდოკანში" (იაპონიის საბრძოლო ხელოვნებების ცენტრი) ეროვნული დროშაც კი დაუშვეს. მაგრამ, ამავე დროს, ამ პრეცედენტს ბევრი სხვა ფაქტორიც არბილებდა: ჯერ ერთი — ჰეესიკი დიდხანს ცხოვრობდა იაპონიაში და უშუალოდ იაპონელების თვალწინ ხვეწდა ძიუ-დოს, დაეუფლა და გახდა ამ ხელოვნების მშვენიერი ოსტატი. მაგრამ ახლა, ყველასათვის უცნობმა პიროვნებამ, ვილაც ქართველმა საბჭოთა კავშირის (მაშინდელი) რომელიღაც პროვინციის მკვიდრმა, ბეჭებზე დასცა მათი ჯილა და სახელიანი მოჭიდავე!...

ჭიდაობის შემდეგ, რასაკვირველია, ბევრი კორესპონდენტი შემოეხვია და დააყარეს კითხვები: „რა ტაქტიკა აირჩიეთ იაპონელთან გასამარჯვებლად?" „რა ილეთით შეგიტიათ?" „რა კონტროლეთი გამოიყენეთ?" „რამდენი დანი გაქვთ ძიუ-დოში?" ჩვენი ფალავნის პასუხში მგონია ქართული გენიალოგიური მარადისობის მარცვალი ძევს: „რა ვიცი კაცო, ის იაპონელი ფალავანი ერთ წამს ისე კარგად მოჯდა (მოერგო) ჩემს გვერდსა და მეც გამოვკარი!"



აბა, რას გაიგებს უცხოელი, იმას რომ ეს „ძიუ-დოს" უძლეველი და დაუმარცხებელი ოსტატი, ასე კარგად მოერგებოდა გორელი ფალავნის თეძოს? რატომ სხვის თეძოებს არ „ერგებიან" ასე კარგად და მხოლოდ ჩვენსას „ერგებიან". ჩვენში ძევს ისეთი ამოუცნობი ფენომენი, რომელსაც ვერ ხსნის სტრატეგიის კუთხით დეტალურად დამარცვლული და მეცნიერულად შესწავლილი იაპონური საბრძოლო ხელოვნება.

**იური ყეინაშვილი,**
**საბრძოლო ხელოვნებების ოსტატი**
**(სპეციალურად „ლელოსათვის").**

*გაგრძელება იქნება*

# INTERTOTO CUP

UEFA

## მეორე ეტაპი

**განმეორებითი მატჩები**

სენტ-ტრუიდენი (ბელგია) — არარატი (სომხეთი) 3-1 (2-0)
იედინსტო (ბოსნია) — ჩახლაული (რუმინეთი) 1-3 (1-2)
ფლორიანა მალტა — იოკერიტი (ფინეთი) 1-1 (1-2)
მონპელიე (საფრანგეთი) — ყარაბახი (აზერბაიჯანი) 6-0 (3-0)
პოლონია (პოლონეთი) — ფკ კოპენჰაგენი (დანია) 1-1 (3-0)
როსტსელმაში (რუსეთი) — ცემენტარნ (მაკედონია) 2-1 (1-1)
ნიური თაუნი (ჩრდ. ირლანდია) — დუისბურგი (გერმანია) 0-1 (0-2)
ვაშაში (უნგრეთი) — ქსამაქსი (შვეიცარია) 1-0 (2-0)
ლუშტენაუ (ავსტრია) — ველენიე (სლოვენია) 2-1 (2-1)
პობედა (მაკედონია) — პერუჯა (იტალია) 0-0 (0-1)
ბობი (ჩეხეთი) — ბაზელი (შვეიცარია) 2-4 (0-0)
ქოჯაელისპორი (თურქეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) 2-0 (1-1)
გომელი (ბელარუსი) — ჰამარბი (შვედეთი) 0-4 (2-2)
აკრანესი (ისლანდია) — ლოკერენი (ბელგია) 1-3 (1-3)
მეცი (საფრანგეთი) — ქილინა (სლოვაკეთი) 3-0 (1-2)
ვარტექსი (ხორვატია) — ბრანი (ნორვეგია) 3-0 (0-3) პენ 5-4.

## ძმებმა დატოვეს „ბარსელონა"

„ბარსელონა" და „ვალენსია" შეთანხმდნენ, რომ ჩემპიონი „ვალენსიისაგან" 1 მილიარდ პესეტს (6,14 მილიონ დოლარს) მიიღებს თავდამსხმელ ოსკარ გარსიაში.

„ბარსელონა" დატოვა მეორე ძმამ გარსიამაც, რომელიც 750 მილიონ პესეტად (4,61 მილიონ დოლარად) „მონაკომ" შეიძინა. ძმები ნიჭიერ თავდამსხმელებად კი ითვლებოდნენ, მაგრამ ვერ გაუძლეს ლუის ვან გაალის მიერ მიწვეულ მსოფლიო ვარსკვლავების კონკურენციას.

## მუსტაფა ჰაჯი ინგლისში გადადის

განთქმული მაროკოელი ფეხბურთელი მუსტაფა ჰაჯი ესპანური „ლაკორუნიადან" ინგლისის პრემიერ-ლიგის კლუბ „ქოვენტრი სიტიში" გადადის. „ქოვენტრის" ხორვატ თავდამსხმელ დავორ შუკერის ყიდვის იმედიც აქვს. შუკერმა დატოვა მადრიდის „რეალი" და ახლა ხელსაყრელ წინადადებებს უცდის.




## თავზეხელაღებული არგენტინელი „ინჩასები"

რომ არგენტინელი ფეხბურთელები მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესები არიან, ეს ყველასთვის ცნობილია. რაც შეეხება არგენტინელ „ინჩასებს", მათ უკვე ველარავინ შეედრება უხეშობაში, ხულიგნობასა და წარმოიდგინეთ, კიდევ უარეს ამბებშიც. ეს ვაიგულშემატკივრები შანტაჟს უწევენ და ძარცვავენ მოთამაშეებს, მსაჯებს ტრიბუნებიდან დამბაჩებს ესვრიან, ტრიბუნებზე ხალხს მხოლოდ იმიტომ კლავენ, რომ ისინი სხვა კლუბებს ქომაგობენ. ძალადობამ არგენტინის სტადიონებზე 159 კაცი იმსხვერპლა, ბევრ დამნაშავეს კი, საერთოდ, ვერ მიაკვლიეს.

***1968 წლის 23 ივნისი.*** მოხდა ყველაზე დიდი ტრაგედია არგენტინულ ფეხბურთში. 71 გულშემატკივარი (მათი საერთო ასაკი – 19 წელი) მოხვდა ვენტილატორებიან ზღუდე ნაგებობაში, რომელიც ხელს უშლიდა ქომაგების მინდორზე შეჭრას. მრავალი მათგანი დაიღუპა (არის ვერსია, რომ ეს პოლიციამ გააკეთა, რათა გულშემატკივრები დაესაჯა)

***1983 წლის 3 აგვისტო.*** „ბოკა ხუნიორსისა" და „რასინგის" მატჩის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე საზღვაო მაშხალით მოკლეს „ბოკას" გულშემატკივარი. ერთი მაშხალა მინდორზე დაეცა, მეორე ტრიბუნაზევე დაიწვა, მესამემ მთელი მინდორი გადაიფრინა და 25 წლის ბანკის მოსამსახურეს პირდაპირ ყელში მოხვდა.

***1985 წლის 7 აპრილი.*** „ინდეპენდენტესა" და „ბოკა ხუნიორსის" მატჩი მეორე ტაიმის 39-ე წუთზე შეწყდა, მას შემდეგ, რაც მთელ რიგ ინციდენტებს 14 წლის ყმაწვილი შეეწირა. „ინდეპენდიენტეს" ფეხბურთელებს კუთხური უნდა მიეწოდებინათ ტრიბუნის იმ მხრიდან, სადაც „ბოკას" ფანატები იჯდნენ. ამ დროს ფანატებმა ჯერ მსაჯს დაუწყეს სროლა, ხოლო შემდეგ მეტოქე გუნდის გულშემატკივრებზე გადაინაცვლეს. 15-წუთიან სროლაში, რომელშიც პოლიციელებიც მონაწილეობდნენ, მოკლეს 14 წლის ყმაწვილი და მძიმედ დაჭრეს ოთხი.

***1990 წლის 14 დეკემბერი.*** ტრიბუნიდან, სადაც „სან-ლორენცოს" გულშემატკივრები ისხდნენ, რვამეტრიანი რკინის ძელი ისროლეს, რომელიც თავში მოხვდა „ბოკას" 37 წლის გულშემატკივარს.

***1994 წლის 30 აპრილი.*** „რივერ პლეიტის" გულშემატკივრები ტვირთმზიდზე დაჯდომას და სტადიონის დატოვებას აპირებდნენ, როცა მათ „ბოკას" ქომაგები შემოერტყნენ და სროლა აუტეხეს. ერთი ადგილზე მოკვდა, მეორე მანქანის თვლებმა გასრისა.

***1997 წლის 20 დეკემბერი.*** „სან-ლორენსოსა" და „ურაკანის" ქომაგებს შორის შეტაკება მოხდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. მოკლეს ულისეს ფილოლი, განთქმული მეკარე უბალდო მატილდო ფილოლის ნაშვილები.

1999 წელს ფანატებმა ადრინდელ რეკორდებსაც კი გადაამეტეს. მათ „მოქმედება" ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე დაიწყეს. „ბოკა ხუნიორსისა" და „ჩაკარიტა ხუნიორსის" ამხანაგურ მატჩში კეტებითა და დანებით შეიარაღებული „ბოკას" 20 ფანატი „ჩეკარიტას" ქომაგებს მიეჭრა და მთელი 15 წუთის განმავლობაში ნამდვილი ცემა-ტყეპა გაუმართა. სტადიონ „ლა ბომბონერას" სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. „კოლონისა" და „უნიონის" მატჩში ტრიბუნიდან ნასროლი ქვა მთავარ მსაჯს მოხვდა. შეხვედრა შეწყდა, რადგან ტრიბუნებზე გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ. „კოლონს" სამი ქულა ჩამოაკლეს.

„ბოკა ხუნიორსისა" და „რივერ პლეიტის" შეხვედრის დღეს არეულობა უკვე არგენტინის არაერთ ქალაქში მოეწყო. 10 კაცი ტყვიით დაიჭრა, ბუენოს-აირესის ცენტრში კი „ბოკას" დაახლოებით 400-მა ქომაგმა ნამდვილი აყალმაყალი გამართა. მას შემდეგ რაც „ბოკა" ჩემპიონი გახდა, მისი ერთ-ერთი გულშემატკივარი ელექტრომატარებელში მოკლეს, 14 კაცი კი დაჭრეს.

## COPA AMERICA ● 1/4 ფინალები ● პარაგვაი-99



**მექსიკა — პერუ 3-3, პენალტებით 4-2**
0-1 პალასიოსი (5), 0-2 პერედა (15), 1-2 ერნანდესი (29), 2-2 ერნანდესი (35, პ), 2-3 სოლანო(41), 3-3 ტორადო (98).
მექსიკელთაგან მატჩისშემდგომი 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენეს — სუარესმა, ტერასისმა, რაფაელ გარსიამ, სეპედამ. პერუელთაგან მხოლოდ სოლანომ და ხორხე სოტომ ივარგეს, ხოლო ხოსე სოტომ და რეინოსომ არაზუსტად შეასრულეს დარტყმები.

**პარაგვაი — ურუგვაი 1-1, პენალტებით 3-5**
1-0 ბენიტესი (15), 1-1 სალაიეტა.
ურუგვაელთაგან მატჩისშემდგომი 11-მეტრიანები ზუსტად გამოიყენეს — ფერკინმა, გიგუმ, ალონსომ, სალაიეტამ, მაგალიანესმა. ტურნირის მასპინძელთაგან კი აკუნიამ, გამარამ და ენსიომ. ბენიტესის მიერ შესრულებული 11მეტრიანი ურუგვაელთა მეკარემ (კარინი) მოიგერია.

**კოლუმბია — ჩილე 2-3**
1-0 ბოლანო (8), 1-1 რეიესი (25), 2-1 ბონელია (35), 2-2 რეიესი (50), 2-3 სამორანო (64).

**ბრაზილია — არგენტინა 2-1**
0-1 ხუან პაბლო (11), 1-1 რივალდო, (32), 2-1 რონალდო (48).

**ნახევარფინალებში გუნდები ასე დაწყვილდნენ:**
**13.07. ურუგვაი — ჩილე**
**14.07. ბრაზილია — მექსიკა**

## ბოსნიელი ლტოლვილი

### ვინ არის ელვირ ბალიჩი?

*ამ რამდენიმე დღის წინ მადრიდის „რეალმა" მორიგ ტრანსფერში 15 მილიონი დოლარი გადაიხადა. სამეფო კლუბს, რა თქმა უნდა, აქვს შესაძლებლობა დიდი ფული გაიღოს სახელოვანი ვარსკვლავების ან ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელების შესაძენად, მაგრამ თურქული „ფენერბაჰჩეს" 25 წლის ბოსნიელ ფორვარდში თუ ამდენს გადიხდიდა, ალბათ ცოტას მოუვიდოდა აზრად. ბუნებრივია, ამ ტრანსფერის შემდეგ ელვირ ბალიჩის პერსონამ ბევრი დააინტერესა და ჩვენც გთავაზობთ World Soccer-ის მიმომხილველ ნიკ ბიმბულეს მწირ საგას „თხუთმეტმილიონიან" ბოსნიელზე.*

ელვირ ბალიჩის წარმატებული საერთაშორისო კარიერა მას შემდეგ დაიწყო, როცა ის სკანდალური ფორმით გადავიდა „სარაევოდან" პროვინციულ თურქულ კლუბ „ბურასპორში". 1995 წლის გაზაფხულზე, ამ ორი გუნდის ამხანაგურ მატჩში ბალიჩმა ისე გაიბრწყინა, რომ თურქები მყისვე შეუდგნენ მოლაპარაკებას მის გადმოსაბირებლად. ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა — ორივე მხარე მზად იყო ტრანსფერის განსახორციელებლად, მაგრამ ბოლო მომენტში საქმეში ბოსნიის მთავრობა ჩაერია, რომელმაც, უბრალოდ, აუკრძალა ელვირ ბალიჩს „სარაევოს" დატოვება. ფორვარდი ერთი პირობა კი დაემორჩილა ხელისუფალთ, თუმცა შესაფერის მომენტს სულმოუთქმელად ელოდა, რათა ომით მოცული სამშობლო დაეტოვებინა და კარიერა უცხოეთში გაეგრძელებინა.

„სარაევო" — „ბურასპორის" ამხანაგური მატჩის რამდენიმე კვირის შემდეგ ელვირ ბალიჩს ამის ბრწყინვალე შესაძლებლობა მიეცა, რომლის არგამოუყენებლობა არაფრით იქნებოდა. „სარაევო" საუდის არაბეთს მიემგზავრებოდა ტურნირში მონაწილეობისათვის და გზად თურქეთში შეჩერდა. ბალიჩს კარგად ესმოდა რა, რომ ასეთი შანსი კიდევ კარგა ხანს არ მიეცემოდა, თვითნებურად დატოვა სასტუმრო, და პირდაპირ „ბურასპორის" მთავარ მწვრთნელ, ასევე ბოსნიელ ნეიატუ ბიედიჩუს მიადგა. ამან ბოსნიის ფეხბურთის ფედერაცია და მთავრობა ერთობ გაანაწყენა, მაგრამ, როცა ქვეყანამ 1996 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა, ელვირ ბალიჩის მიმართ მოლბნენ და ეროვნულ გუნდშიც უხმეს. თუმცა ნაკრებში მას ფეხის მაგრად მოკიდება თავიდან გაუჭირდა — მხოლოდ მეათე მატჩში შეძლო გოლის გატანა.



თურქეთში კი ელვირ ბალიჩი პოპულარულზე რალაც უფრო მეტი გახლდათ. 1998-99 წ.წ. სეზონისათვის „ბურასპორმა" იგი 13 მილიონ დოლარად დაუთმო „ფენერბაჰჩეს" და ფორვარდსაც საშუალება მიეცა მთელი მშვენებით წარმოეჩინა თავისი შესაძლებლობები. თუმც მთლად წარმატებულს ამ სეზონს ვერ დაარქმევს კაცი — „ფერენბაჰჩემ" მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ბომბარდირთა დავაში ბალიჩს ჰაკან შუქურმა აჯობა („გალათასარაი", 19 გოლი). ასეა თუ ისე, გულშემატკივრებს ბოსნიელი თავდამსხმელი ძალიან შეუყვარდათ — „ფერენბაჰჩეს" ფანებში ბალიჩი ამ დროისათვის ყველაზე პოპულარული გახლდათ, მაგრამ ნიგერიელი ავგუსტინ ოკოჩას, რომელმაც ორი სეზონი (1996-97 და 1997-98) გაატარა „ფენერბაჰჩეში", ამით ის მაინც ვერ შეედრებოდა. ოკოჩა ვარსკვლავი იყო მინდორზეც და მის მიღმაც. ბალიჩი კი საფეხბურთო მოედანს იქით ორდინარულად ინტილიგენტი, მოკრძალებული პიროვნებაა. აი, მინდორზე ელვირ ბალიჩი გაავებულ მტაცებელს ჰგავს, რომელიც უმოწყალოდ აწიოკებს მოწინააღმდეგის დაცვას. ეს კი უზომოდ აღაგზნებდა „ფენერბაჰჩეს" ფანებს!

„ელვირი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ღვთისგან აქვს ბოძებული ფორვარდის ნიჭი, ბრწყინვალე გოლის ალლო მას საშუალებას აძლევს ყოველთვის საჭირო ადგილზე აღმოჩნდეს, ის მოუხელთებელია. ბალიჩზე ამბობენ, რომ მინდორზე ეგოისტია, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ — ნამდვილ თავდამსხმელს ეს მართებს კიდეც" — ამბობს „ფენერბაჰჩეს" გერმანელი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი.

მოამზადა
დათო თავართქილაძემ

## „მამული" არა მხოლოდ რუსთავის საფეხბურთო კერაა

საფეხბურთო კლუბის სიძლიერე მხოლოდ ფეხბურთელთა ადგილობრივი კადრების აღზრდით შეიძლება იყოს გარანტირებული. თავიდანვე ალბათ ამ ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა რუსთავის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „მამული", რომელიც 1987 წელს კომპლექსურ სპორტსკოლას გამოეყო და ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლა გახდა. 90-იანი წლების დასაწყისიდან სკოლის აღსაზრდელები უცვლელად მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა რანგის და დონის შეჯიბრებებში — მ. მესხის თასი, გ. ჩოხელის თასი, ს. მეტრეველის თასი, „კოკა-კოლას" თასი, ტურნირები, ამხანაგური შეხვედრები და ა. შ. ქართული ფეხბურთის წინაშე სკოლის უდიდეს დამსახურებაზე მეტყველებს ის, რომ მისმა აღზრდილებმა ევროპის მასშტაბის შეჯიბრებებსა და ტურნირებში, ეროვნულ ნაკრებ გუნდში გამოიჩინეს თავი. ესენი არიან: კახი ცხადაძე, გოჩა ჯამარაული, ნიკა ტოგონიძე, ნუგზარ ლობჟანიძე, ლევან სილაგაძე, ძმები კილასონიები და სხვები. 18 წლამდე ნაკრებში ასპარეზობს გიორგი ბედიაშვილი. რალა თქმა უნდა, ეს სპორტული სკოლა რუსთავის „მეტალურგის" საბაზო კერად იქცა.

ნიჭიერ შეგირდებს, მწვრთნელებიც გონიერები ჰყავთ. ფეხბურთელთა თაობების დაოსტატებას თავდადებით ემსახურებიან „მამულის" მწვრთნელ-პედაგოგები მურმან გოგოლაძე, თამაზ დოდაშვილი, ალექსანდრე ნაზაროვი, ლევან გოგუაძე, გივი მოდებაძე, მათი ახალგაზრდა კოლეგები სოსო მანჯავიძე, რეზო რუსიძე, ილია რამაზაშვილი, დათო დოლიძე და სხვა. აქვე უნდა ითქვას შესანიშნავ ადამიანებზე, წარსულში ცნობილ ფეხბურთელებზე, სკოლის დირექტორზე მამული ჩაჩავაზე და სასწავლო ნაწილის გამგეზე თამაზ კონიაშვილზე. ერთდროულად სკოლაში 500-მდე მოზარდი ეუფლება ფეხბურთის საიდუმლოებას.

„მამულის" 10-წლიან გარჯას შეუმჩნევლად არ ჩაუვლია და შარშან განათლების სამინისტროს წარდგინებით, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ამ სკოლას ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლში, ოლიმპიური რეზერვის „სკოლის" სტატუსი მიანიჭა, რაც უდავოდ დიდი პატივია.

— ყოველნაირად გვეხმარება და მხარში გვიდგას რუსთავის განათლების სამმართველო და პირადად მისი უფროსი, ქალბატონი ნანა დალაქიშვილი, სფფ-ს რეზერვების კომიტეტი და მისი თავმჯდომარე ლევან ყიფიანი, კომიტეტის თანამშრომლები ჯუმბერ თანანაშვილი და ავთანდილ გრეკოვი, მოსწავლე-ფეხბურთელთა მშობლები — ამბობს ჩაჩავა, რომელიც ამავე დროს სფფ-ს წარმომადგენელია ქვემო ქართლში.

„მამული" ახალი წარმატებების, ფეხბურთელთა ახალი სახელების წარმოჩენის გარანტიას იძლევა, ოღონდ ერთი მოკრძალებული თხოვნა აქვს სკოლის კოლექტივს — იქნებ მოხერხდეს „მეტალურგის" სათადარიგო მოედნის შეკეთება, რომ „მამულის" ბიჭებმა ოფიციალური მატჩები შინ, საკუთარი მაყურებლის თვალწინ ჩაატარონ და არა... გარდაბანში.

ირაკლი სარალიძე,
„ლელოს" კორ. რუსთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## არა მხოლოდ მსოფლიო თასი

### ამერიკელმა ქალებმა ევროპული ფეხბურთი აჩუქეს ამერიკას

ქალთა მესამე საფეხბურთო ჩემპიონატმა ხმაურით, ბუმით და ანშლაგით ჩაიარა. ამერიკელებს უყვართ რაღაცის გაზვიადება. რაღაცის აკვიატება და გაიდიალება, რაღაცისადმი საყოველთაო ლტოლვა და ამით ისინი აჩქარებენ სიახლეთა დამკვიდრებას, პროგრესს. ერთსულოვნებით აღსაზევებელს უმალვე აღზევებენ და მერე სამართლიანადაც იწონებენ თავს. განა რამდენი დრო გავიდა, აშშ-ი და, საერთოდ, მსოფლიოში ქალთა ფეხბურთის აღმოცენებიდან... ყოველ შემთხვევაში იმდენი არა, ვინმემ რომ თქვას, ვიდრე გემოს გაუგებდნენ, ათწლეულებმა ჩაიარაო. აი, მამაკაცთა ევროპულ ფეხბურთს, ანუ იმას, რასაც ახლა ასე გატაცებით თამაშობენ ქალები ამერიკაში და სხვაგანაც, იანკებმა ჯერ საბოლოოდ ნამდვილად ვერ გაუგეს გემო. ალბათ ქალთა ფეხბურთის აღიარება ამ პროცესს დააჩქარებს. შეიძლება უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ევროპულ ქალთა ფეხბურთს ევროპაში ახლა თვით ამერიკელები უწევენ პროპაგანდას.



7-7 გატანილი გოლით ჩემპიონატის ბომბარდირები გახდნენ ჩინელი სუნ ვენი (სურათზე) და ბრაზილიელი სისი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ზოგიერთები ამ საუკუნის დასასრულს ფეხბურთისადმი ინტერესის განელებას და ტრიბუნების სიხალვათეს წინასწარმეტყველებდნენ. ახლა, როგორც ჩანს, ქალთა ფეხბურთმა ახალი სიცოცხლე შთაბერა სპორტის ამ ულამაზეს სახეობას. განა ვინმე განჭვრეტდა, რომ იგივე ამერიკაში ქალთა ბურთაობას ამდენი მაყურებელი ეყოლებოდა?

მთავარი მაინც ალბათ ის არის, რომ „მამაკაცური ოსტატობა“ ზეობდა მატჩების უმეტესობაში. ქალთა ფეხბურთმა „მოწამლა“ ტრადიციების შეუბღალავად მიმდევარი აზიელებიც კი. თურმე, თვით ისლამურ ირანში, ქალთა ბევრი საფეხბურთო კლუბი მუშაობს, მაგრამ ჯერჯერობით მათ მამაკაცების წინაშე გამოჩენა ეკრძალებათ. ისინი იმედს არ კარგავენ, რომ დადგება დრო და ირანელი ქალებიც დაჯაბნიან ფეხბურთში ამერიკელებს ისე, როგორც ეს მათმა მამაკაცებმა შეძლეს. ჩინეთი ავიღოთ. როგორ თამაშობენ, რა ჟინიანები არიან. ამ ქვეყანაშიც მამაკაცთა ფეხბურთის სტიმულის მიმცემი შეიძლება სწორედ ქალთა თამაში გახდეს.

თვით ის ფაქტი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში აშშ-ისა და ჩინეთის მანდილოსანი ფეხბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს, მრავლისმეტყველია.

მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა 2-0 სძლიეს ბრაზილიელებს ნახევარფინალში, ხოლო ჩინელებმა 5-0 მოუგეს მსოფლიო ჩემპიონებს — ნორვეგიელებს, ფინალს ნამდვილად საინტერესოდ უნდა ჩაევლო. მაყურებელი ჯერ ბრაზილია — ნორვეგიის პაექრობას ადევნებდა თვალყურს. კალიფორნიის ქალაქ პასადინას გრანდიოზულ სტადიონზე მესამე ადგილისთვის დავაში საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, სადაც სკანდინაველები დამარცხდნენ. ჩემპიონატის მთავარი — ფინალური მატჩი, მაინცდამაინც საინტერესო სანახავი ვერ გამოდგა. მეტოქეები აშკარად ფრთხილობდნენ, მოზომილად თამაშობდნენ, განსაკუთრებით აზიელები. მეტოქეთა ფეხბურთელები, როგორც იტყვიან, მწვრთნელებს შესციცინებდნენ თვალებში და შეიძლება სწორედ დიდმა პასუხისმგებლობამ შებოჭა კიდეც ისინი, სილაღე და იმპროვიზაცია ნაკლებად იგრძნობოდა. ვერც ძირითადმა და ვერც დამატებითმა დრომ ვერ დაასახელა უძლიერესი. ჯერი პენალტებზე მიდგა, სადაც ფორტუნამ მასპინძლებს გაუღიმა და ყველა დარტყმა შედეგიანი გამოდგა, მაშინ, როცა ჩინელების ერთი დარტყმა ამერიკელთა მეკარე ბრაინა სკარიმ მოიგერია.

აშშ-ს ქალთა ნაკრები ჩემპიონია, უკვე მეორედ! არის თუ არა ეს სენსაცია? ალბათ, საერთოდ კი, მით უმეტეს, თუ ვიტყვით, რომ ვერანაირი ოპტიმისტი ვერ დაასახელებს თუნდაც მიახლოებით თარიღს, თუ როდის შეიძლება გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები აშშ-ს ვაჟი ფეხბურთელები, თუნდაც ჩინელები როდის გავლენ ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში.

გახსოვთ, ალბათ, ამერიკელებმა ჩინელები ატლანტაში ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ფინალშიც დაამარცხეს, მანამდე, 1991 წელს კი მათ პირველ მსოფლიო ჩემპიონატში „საკუთარ კედლებში“ სძლიეს.

## „იმედი მაქვს, დემეტრაძე — კანიშჩევის ტანდემს შევქმნით“

ასე განუცხადა ვლადიკავკაზის „ალანიის“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა კორესპონდენტს.

— ეს ისეთივე ტანდემი უნდა იყოს, როგორიც ადრე იყო: ყაველაშვილი — კანიშჩევი.

● *ჯეფერსონი?*

— იგი პირველი წრის შემდეგ ბრაზილიაში გაემგზავრება.

● *თქვენ თქვით, რომ დემეტრაძე — კანიშჩევის ტანდემის იმედი გაქნებათ. როგორ ეთანხმება ეს დემეტრაძის მოსალოდნელი გაყიდვის ინფორმაციას?*

— მინდა ყველას განვუცხადო, რომ დღეისათვის დემეტრაძე „ალანიის“ მოთამაშეა. მას ძალიან სურს ჩვენს კლუბში თამაში. ამას ვესალმები კიდეც. სხვა საქმეა, თუ ვინმესთან კონტრაქტს ხელს მოაწერს. მაშინ ამაზე რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ. იგი ნამდვილად ნიჭიერი მოთამაშეა, თუმცა ჯერ კიდევ უნდა გაიზარდოს. ისე კი, დღეისათვისაც მაღალი კლასის თამაშს აჩვენებს.

## როგორც კი წიკლაური შეცვლაზე შემოდის

**სამარის „კრილია სოვეტოვის“ თავდამსხმელმა ზურაბ წიკლაურმა მოსკოვის „სპარტაკთან“ მინდორზე გამოსვლისთანავე გაიტანა გოლი. წელს ეს უკვე მესამე გოლია. მეორე ნახევარში თამაშში ჩაბმის შედეგად, საერთოდ კი „კრილია სოვეტოვის“ შემადგენლობაში მეცხრე, როცა მატჩის მიწურულს შეცვალა თანაგუნდელი.**

## მიშელ პრიუდომი აღარ ითამაშებს

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში საუკეთესო მეკარედ აღიარებულმა მიშელ პრიუდომმა განაცხადა, რომ ამთავრებს სპორტულ კარიერას — ბოლო წლებში იგი ლისაბონის „ბენფიკაში“ თამაშობდა.

ამასთან, პრიუდომი „ბენფიკას“ არ და ტოვებს. იგი დაინიშნა კლუბის დირექტორად საერთაშორისო კონტაქტების სფეროში. მისი მოვალეობა იქნება ფიფასთან, უეფასა და უცხოეთის კლუბებთან კავშირის დამყარება.

## პირესი „ოლიმპიკის“ კაპიტანი გახდა

**მარსელის „ოლიმპიკი“ ახლა წინასასეზონო შეკრებას გადის. მისი კაპიტნის მილანის „ინტერში“ გადასულ ლორან ბლანის ნაცვლად სამკლაური გადაეცა საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველ (და თავდამსხმელს) რობერ პირესს.**

**პირესი ახლა მცირე ტრავმას იშუშებს, თუმცა გუნდთან იმყოფება. მან აღტაცებით მიიღო მთავარ მწვრთნელ როლან კურბისის გადაწყვეტილება გუნდის კაპიტნად დანიშვნის შესახებ.**

## „აღარც ჯანმრთელობა მაქვს, აღარც მოტივაცია“

როგორც შვედმა თავდამსხმელმა მარტინ დალინმა განაცხადა, მან თავისი სპორტული კარიერის დამთავრება გადაწყვიტა.

დალინი ბოლო ხანებში არ თამაშობდა ზურგის ავადმყოფობის გამო. მართალია, მას არაერთი ევროპული კლუბი იწვევდა, მაგრამ შვედმა მაინც ამჯობინა გამოთხოვებოდა ფეხბურთს.

## დიდი ჯილდოები «კოპა ამერიკაზე»

**— „კოპა ამერიკაზე“ გამარჯვებული ჯილდოდ მიიღებს 600 ათას დოლარს. 12 მონაწილეთაგან თითოეული — 200 ათას დოლარს... ვინც მეოთხედფინალში გავიდა დამატებით — 70 ათას დოლარს, ვერცხლის პრიზიორი — 300 ათას დოლარს, მესამე ადგილზე გასული — 200 ათასს, მეოთხეზე — 140 ათასს.**

**— ჯერჯერობით ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს ყველაზე რეალური პრეტენდენტია პარაგვაის ნაკრების თავდამსხმელი როკე სანტაკრუსი.**

**— იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერესი ტურნირისადმი მკვეთრად გაიზარდა, ორგანიზატორებმა საჭიროდ ჩათვალეს ბილეთის ფასის 60 პროცენტით გაზრდა. ახლა ყველაზე იაფი ბილეთი 9 დოლარი ღირს, ყველაზე ძვირი კი — 27 დოლარი.**

## ჯანაშია: „ლოკომოტივზე“ კარგ გუნდს სად ვნახავ

**მოსკოვის „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ზაზა ჯანაშიას.**

● ***გაზაფხულზე ევროთასების მატჩებში „მაკაბისა“ და „ლაციოს“ წინააღმდეგ ნამდვილი ფურორი მოახდინეთ, 4 გოლი გაიტანეთ, შემდეგ კი თქვენი თამაში გაუფერულდა. რა მოხდა?***

— მწყობრიდან გამომიყვანა დისკვალიფიკაციამ, წითელი ბარათის მიღების შემდეგ, რაც ნიჟნი ნოვგოროდში მოხდა. სამი მატჩი გამოვტოვე და ძალზე ცუდი პერიოდი დამეწყო, რაც დღემდე გრძელდება.

● ***რითი განსხვავდება თქვენი ახლანდელი მზადყოფნა საგაზაფხულოსაგან?***

— ახლა ჩემი შესაძლებლობების 50 პროცენტს ვთამაშობ.

● ***ამიტომაც ძალიან ცოტა გოლი გაგაქვთ.***

— მესმის, ორი გოლი მაშინ, როცა ჩემპიონატის ნახევარი გავიდა, ვერაფერი ბედენაა. შევეცდები უახლოეს ხანებში გამოვასწორო მდგომარეობა.

● ***მაინც რამდენი გოლი უნდა გაიტანოთ, რომ სეზონი წარმატებულად ჩათვალოთ?***

— რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია საბრძოლო მზადყოფნის აღდგენა, მაშინ გოლებსაც გავიტან.

● ***მაშინ თამაშობთ უკეთ, როცა მეტოქე ზონურ პრინციპს იყენებს?***

— ჩემთვის სულ ერთია, მინდორზე ვცდილობ მთელი ჩემი შესაძლებლობებით ვითამაშო, ეს კი საშუალებას მაძლევს ნებისმიერ დაცვას მოვარგო გასაღები.

● ***ერთი თვის წინათ საქართველოს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა საწვრთნელ შეკრებაზე დაგვიანების გამო გუნდიდან გაგრიცხათ, როდის გამოსწორდება თქვენი ურთიერთობა?***

— არ ვიცი. ჯერჯერობით მე და მწვრთნელმა საერთო ენა ვერ გამოვნახეთ.

● ***პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ თქვენით ინგლისის და იტალიის კლუბები არიან დაინტერესებულნი. რას გვეტყვით ამის შესახებ?***

— რაიმე კონკრეტული წინადადება არ მიმიღია. მე კი არსად მინდა წასვლა. „ლოკომოტივზე“ კარგ კლუბს სად ვნახავ.

# ელვას რაული ჰქვია

იგი 22 წლისაა. უკვე რამდენიმე შესანიშნავი სეზონი ჰქონდა, გულშემატკივრებს უამრავი სიხარული მოუტანა. საფეხბურთო კარიერა უკვე ბრწყინვალე გამოუვიდა, თუმცა უკეთესი მიღწევები, უნდა ვიფიქროთ, წინა აქვს.

მართლაც და უიშვიათესი შემთხვევა, რომ კაცმა „რეალის“ მეორე გუნდში სულ ერთი მატჩი ითამაშოს და, ამის წყალობით, პირველში მოხვდეს. თავის სადებიუტო სეზონში 9 გოლი გაიტანა, ერთი წლის შემდეგ — 19, მაშინ კი, როცა კლუბს იტალიელი ფაბიო კაპელო ჩაუდგა სათავეში, პირადი რეკორდი დაამყარა — 21 ბურთი გაიტანა. ამ რეკორდმა სულ ორ წელს გაძლო — წლევანდელ ჩემპიონატში 25 გოლამდე გაიზარდა. გაისად შეიძლება უკეთეს შედეგსაც მიაღწიოს.

რა თქმა უნდა, რაული ზოგჯერ მარცხიანადაც თამაშობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა „რეალს“ იუპ ჰაინკესი ედგა სათავეში. მაგრამ საქმე გამოასწორა ჩემპიონთა ლიგის 1997-98 წლების გათამაშებაში გამარჯვებამ, ხოლო 1998 წელს საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში ტოკიოში გატანილი განსაცვიფრებელი სილამაზის გოლი შეიძლება ყველაზე უფრო ბრწყინვალეც კი იყო მთელი ამ სეზონის მანძილზე.



რაული გოლის გატანის შემდეგ (მარცხნივ) და ზეედორფი

ახლა რაული მსოფლიო კლასის თავდამსხმელად კი ითვლება, მაგრამ სპეციალისტები დიდხანს ეკამათებოდნენ ერთმანეთს მისი სათამაშო ამპლუის შესახებ. საინტერესოა, რომ ფაბიო კაპელო, ხორხე ვალდანი, იუპ ჰაინკესი, გუუს ჰიდინკი, ჯონ ტოშაკი, ხავიერ კლემენტე და ხოსე ანტონიო კამაჩო სულ სხვადასხვა აზრისანი იყვნენ. ისინი რაულს სხვადასხვა პოზიციაზე თამაშისას მოიაზრებდნენ, იმას კი ამბობდნენ, რომ რა ფუნქციაც არ უნდა დაეკისრებინათ ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, ყველაფერს კარგად გააკეთებდა. ხავიერ კლემენტე დიდხანს ერთადერთი იყო, ვისაც რაულისა არა სწამდა, მაგრამ ბოლოს მაინც მიიწვია ესპანეთის ნაკრებში. სხვები კი ერთხმად ამბობდნენ: „წინ უნდა წავწიოთ. რაც უფრო ახლოა საჯარიმო მოედანთან, მით უფრო სახიფათოა“.

წლევანდელ სეზონში „რეალს“ ნამდვილი ციებცხელება შეეყარა. იცვლებოდნენ მწვრთნელები, ზოგჯერ გუნდი გამანადგურებელი ანგარიშით აგებდა, ფანატიკოსი გულშემატკივრები ფეხბურთელებს გადაემტერნენ, პირდაპირ ტერორი დაუწყეს. ერთადერთი, ვისთვისაც თეთრი ცხვირსახოცი არ აუფრიალებიათ, რაც ესპანეთში უდიდესი ზიზღის გამოხატულებაა, სწორედ რაული იყო. და მან იხსნა კიდეც სეზონი „მალიორკასთან“ გატანილი ორი გოლით, გუნდს ჩემპიონატში მეორე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა, თვით კი ესპანეთის პირველობის ყველაზე უფრო შედეგიანი თავდამსხმელი გახდა.

რაულზე ამბობენ, რომ ასეთი მოთამაშე თაობაში ერთხელ თუ ჩნდება. ახლა კი მოვუსმინოთ იმათ, ვინც ახლოს აკვირდებოდა ახალგაზრდა ფეხბურთელის მიღწევებს.

***ხორხე ვალდანო:*** იგი ყველაფერს ასწრებს, რაც კი მოძრაობაშია. თავს აღწევს მეურვეებს, მხოლოდ მაშინ ისვენებს, როცა ძირითადი მიზანი, მატჩის მოგება უკვე მიღწეულია.

***ალფრედო დი სტეფანო:*** რაულს შეუძლია იმის მიღწევა, რისი გაკეთება ცოტა ვინმეს თუ ძალუძს. გამოვიდეს ხალხით გადაჭედილ სტადიონზე და ისე ითამაშოს, თითქოს სადმე ველზე ბიჭებს ეჯიბრებაო. იგი ისეთივე კარგია, როგორც რონალდო, მისი სახელი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შევა.

***ბობი რობსონი:*** იგი ელვაა, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი უკან ჩამოიტოვოს:

ახლა კი ფეხბურთელის დოსიეს გავეცნოთ:

***სახელი:*** რაულ გონსალეს ბლანკო
***ამპლუა:*** თავდამსხმელი
***დაბადების წელი:*** 1977 წლის 27 ივნისი
***დაბადების ადგილი:*** მადრიდი, ესპანეთი.



რაული

***სიმაღლე:*** 1 მეტრი და 80 სმ.
***წონა:*** 68 კგ.
***კარიერა:*** თამაშობს მადრიდის „რეალში“ 1992 წლიდან დღემდე.
***მატჩების რაოდენობა პირველ დივიზიონში*** — 193.
***გოლი:*** 84.
***წოდებები:*** ჩემპიონთა ლიგის 1997-98 წლების გათამაშებაში გამარჯვებული, საკონტინენტთაშორისო თასის 1998 წლის მფლობელი, ესპანეთის ორგზის ჩემპიონი, ესპანეთის სუპერთასის მფლობელი.

### რა მოსწონს

***ქვეყანა:*** ესპანეთი
***ქალაქი:*** მადრიდი.
***სასმელი:*** წყალი, შამპანური
***საჭმელი:*** ბრინჯი პომიდვრით.
***დესერტი:*** ნაღები
***ფერი:*** წითელი
***ცხოველი:*** ძაღლი
***ჟურნალი:*** „დონ ბალონი“.
***ტანისამოსი:*** სპორტული
***სატელევიზიო პროგრამა:*** დოკუმენტური ფილმები.
***ჰობი:*** კინო, ნადირობა, ვიდეო თამაშები.
***მანქანა:*** „ფოლკსვაგენ გოლფი“.
***რა აქვს დაცდილი:*** ფეხსაცმლის ჩაცმა მარცხენა ფეხზე.

# ევროპის ყველა ჩემპიონატი

## საფრანგეთი 1984

## მიშელ პლატინი – ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი

VII ჩემპიონატს საფრანგეთმა უმასპინძლა და მონაწილეობდა 33 ქვეყნის ნაკრები გუნდები. შეიქმნა 7 ჯგუფი, გამარჯვებულებს დაემატა საფრანგეთის ნაკრები, როგორც მასპინძელი ქვეყანა და შეიქმნა 2 ჯგუფი. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: პირველ ჯგუფში გამარჯვებული ხვდებოდა მეორე ჯგუფში მეორე ადგილზე გასულს, ხოლო მეორე ჯგუფში გამარჯვებული, პირველი ჯგუფის მეორე ადგილზე გასულს. ამ ჩემპიონატიდან დაწყებული მატჩი მესამე ადგილისათვის არ იმართება.

ჩემპიონატში სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ შემდეგი ქართველი ფეხბურთელები: ა. ჩივაძე (ითამაშა 6 მატჩი), თ. სულაქველიძე (5 მატჩი) და რ. შენგელია (3 მატჩი). მაგრამ, ისევე როგორც წინა ჩემპიონატში, სსრკ-ს ნაკრები კვლავ ვერ გავიდა ჯგუფური ტურნირიდან. გარდა სსრკ-ს ნაკრების შესარჩევი ეტაპიდან ასპარეზობას გამოეთიშნენ: იტალია, ინგლისი, ჰოლანდია. ჯგუფებში გამარჯვება მოიპოვეს: 1 ჯგუფში – ბელგიამ, II-ში – პორტუგალიამ; III-ში – დანიამ (ინგლისი ვერ მოხვდა); IV-ში – იუგოსლავიამ; V-ში – რუმინეთმა (იტალია ვერ მოხვდა); VI ჯგუფში – გფრ-მ, VII-ში – ესპანეთმა (ჰოლანდია ვერ მოხვდა).

კენჭისყრით შეიქმნა ორი ფინალური ჯგუფი: პირველში გაერთიანდნენ – საფრანგეთი, დანია, ბელგია, იუგოსლავია. მეორეში – ესპანეთი, პორტუგალია, გფრ, რუმინეთი.

*პირველი ტური.* ბელგიელთა ნაკრების სტარტი შთამბეჭდავი იყო. მათ იუგოსლავიელებთან შეხვედრაში აჩვენეს სწრაფი და აგრესიული ფეხბურთი. აღსანიშნავია, რომ ბელგიის ნაკრები გამოვიდა განახლებული შემადგენლობით, რადგან ის გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც გარეულნი იყვნენ ქრთამის აღებაში, დისკვალიფიცირებულნი იქნენ და მწვრთნელმა გი ტისმა სანახევროდ შეცვალა შემადგენლობა. მატჩის 28-ე წუთზე პირველი ბურთი გაიტანა ვან დენბერგმა, ხოლო პირველი ტაიმის ბოლო წუთზე შიფოს ჩამოწოდებით გრიუნმა გაზარდა ანგარიში – 2-0. იგი არ შეცვლილა. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში საფრანგეთისა და დანიის ნაკრებების მატჩში გაიმარჯვეს ფრანგებმა – 1-0. მიმომხილველები აღნიშნავენ ამ თამაშის უხეშ ხასიათს. ორივე მწვრთნელმა, როგორც იდალგომ, ასევე პიონტეკმა კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა მსაჯის, როტის მიმართ, რომელმაც ხელიდან გაუშვა მატჩის სადავეები. დანიელთა ლიდერს სიმონსენს ფეხიც კი მოტეხეს, მას ტრავმა მიაყენა ლე რუმ. შეხვედრის დასასრულს მინდვრიდან გააძევეს ფრანგი ამორო.

პირველი ტურის მეორე ჯგუფში ასეთი შედეგები დაფიქსირდა: გფრ – პორტუგალია 0-0; ესპანეთი-რუმინეთი 1-1. გერმანელთა თავდამსხმელმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ მატჩის შემდეგ თქვა, რომ მისმა გუნდმა ითამაშა უსუსურად, პორტუგალიელთა მწვრთნელმა კაბრიტამ კი განაცხადა, რომ გუნდის მთავარი მიზანი იყო ბურთი არ გაეშვათ. მეორე შეხვედრაშიც დაფიქსირდა ფრე, ოღონდ 1-1 შეხვედრის 21-ე წუთზე. ანგარიში ესპანელმა კარასკომ გახსნა 11-მეტრიანით. რუმინელებმა პირველივე ნახევარში გაქვითეს იგი (ბოლინი).

*მეორე ტური.* ამ ტურში საფრანგეთის ნაკრებმა გაინაღდა ადგილი ნახევარფინალში, როცა დაამარცხა ბელგიის ნაკრები – 5-0. ამ მატჩში გაიბრწყინა მიშელ პლატინიმ. მაღალ ტემპში წაიყვანა გუნდის თამაში და გამოირჩეოდა შეტევის დაგვირგვინების უნარით. მანვე შეასრულა „ჰეთ-თრიკი". დანარჩენი გოლები გაიტანეს ჟირესმა და ფერნანდესმა. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაშიც აღინიშნა ანგარიში 5-0, დანიის ნაკრებმა სძლია იუგოსლავიას. პირველი გოლი არნესენმა გაიტანა მე-7 წუთზე. შემდეგ გოლები გაჰქონდათ: ბერგრენს (16 წთ.), კვლავ არნესენს (68 წთ.), ელკიაერს (82) და შეცვლაზე შემოსულ ლაურიდსენს (84 წთ.).

მეორე ჯგუფში კი გფრ-ს ნაკრებმა ძნელ ბრძოლაში შეძლო რუმინეთის დამარცხება – 2-1. გერმანელთა თამაში მომენტებში ჰგავდა იმ თამაშს, რომელსაც მიჩვეულნი იყვნენ ფეხბურთის მოყვარულები. თავი გამოიჩინა ფიოლერმა, რომელმაც შეასრულა „დუბლი", საპასუხო ბურთი კორაშმა შეაგდო. ესპანეთისა და პორტუგალიის შეხვედრაში დაფიქსირდა ფრე 1-1. მატჩში მცირე უპირატესობას ფლობდნენ პორტუგალიელები. მათმა ნახევარმცველმა სოუზამ 52-ე წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო 73-ე წუთზე ესპანელთა ვეტერანმა, 31 წლის სანტილიანამ გაქვითა გოლი.

*მესამე ტური.* საფრანგეთი – იუგოსლავია – 3-2. ამ მატჩში, ისევე როგორც მთელ ჩემპიონატში, ბრწყინვალედ ითამაშა პლატინიმ, და ამჯერადაც შეასრულა „ჰეთ-თრიკი". ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (შესტიჩი). აი ამის შემდეგ პლატინიმ ზედიზედ სამი ბურთი მოათავსა მეტოქის კარში. შეხვედრის დასასრულს საფრანგეთის ნაკრების კარში დაინიშნა 11-მეტრიანი. რადანოვიჩის დარტყმა მოიგერია ბატსიმ, მაგრამ მსაჯმა მოითხოვა განმეორებითი დარტყმა. ამჯერად სტოიკოვიჩის დარტყმამ მიზანს მიაღწია. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაშიც იგივე ანგარიში 3-2 აღინიშნა. დანიელებმა სძლიეს ბელგიელებს. კულემანსმა გახსნა ანგარიში, მერე ვერკოტერენმა გაიტანა მეორე გოლი. არნესენმა 11-მეტრიანით, რომელიც დაინიშნა ელკიაერის წაქცევისთვის, შეამცირა ბურთების სხვაობა, ხოლო შემდეგ ბრილმა გაათანაბრა ანგარიში. შეხვედრის ბოლოს თვითონ ელკიაერმა გაიტანა გამარჯვების გოლი. ამრიგად, პირველი ჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდნენ საფრანგეთისა და დანიის ნაკრებები.

მეორე ჯგუფში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა გფრ – ესპანეთის შეხვედრა. პირველ ნახევარში შტილიკე უხეშად ეთამაშა გარსიას და დაინიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ კარასკოს დარტყმა მოიგერია შუმახერმა. შეხვედრის უკანასკნელ წუთზე მასედამ თავით გაგზავნა ბურთი შუმახერის კარში და ესპანეთის ნაკრები გავიდა ნახევარფინალში. მეორე შეხვედრაში, რომელშიც პორტუგალიისა და რუმინეთის ნაკრებები შეხვდნენ, გადამწყვეტი ბურთი გაიტანა 81-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა 34 წლის პორტუგალიელმა ვეტერანმა ნენემ.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: საფრანგეთი-პორტუგალია, ესპანეთი-დანია.

*საფრანგეთი – პორტუგალია.* შეხვედრა მიმდინარეობდა ორმხრივი შეტევით. პირველ ნახევარში პორტუგალიელთა კარში დაინიშნა ჯარიმა, ყველა ელოდა პლატინის დარტყმას, მაგრამ მოულოდნელად დაარტყა მცველმა დომერგიმ და გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ პორტუგალიელებმა გააძლიერეს შეტევები და ამ მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ჟორდაომ გაქვითა გოლი. ძირითადი დრო ფრე – 1-1. ეს იყო დიდი მოულოდნელობა, რადგან ყველა საფრანგეთს აძლევდა დიდ უპირატესობას. დაინიშნა დამატებითი დრო და შალანა-ჟორდაოს კომბინაციით უკვე პორტუგალიელები გავიდნენ წინ. დომერგიმ კვლავ გაათანაბრა ანგარიში. დამატებითი დროის უკანასკნელ წუთზე, საუკეთესო მოთამაშე ტიგანას პასით პლატინიმ გაიტანა გამარჯვების გოლი. ფრანგები ფინალში გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალი ესპანეთისა და დანიის ნაკრებებს შორის გამოირჩეოდა მძაფრი ბრძოლით. პირველი ნახევარი მიმდინარეობდა დანიელთა უპირატესობით და ელკიაერის დარტყმის შემდეგ არკონადამ ვერ დაიჭირა ბურთი და დამატებაზე ლერბიუმ გახსნა ანგარიში. მეორე ნახევარში კი ესპანელები დომინირებდნენ და შეხვედრის დასასრულს მასედამ გაათანაბრა ანგარიში. ძირითადი დრო ფრე 1-1. დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა. დაინიშნა 11-მეტრიანების სერია, რომელიც ესპანელებმა უკეთესად გამოიყენეს და გაიტანეს ხუთივე „პენალტი", ხოლო დანიელთა საუკეთესო თავდამსხმელმა ელკიაერმა ბურთი კარს ააცილა.

*ფინალი. საფრანგეთი – ესპანეთი.*

*საფრანგეთი:* ბატი, ბატისტონი (ამორო, 73) ლე რუ, ბოსი, დომერგი, ტიგანა, ჟირესი, ფერნანდესი, პლატინი, ლიაკომბი (ჟენგინი, 80), ბელონი.

*ესპანეთი:* არკონადა, კამაჩო, გალიეგო, გარსია (რობერტო, 85), ურკიაგა, მუნიოსი, სენიორი, ალბერტო (სარაბია, 77), ლოპესი, სანტილიანა, კარასკო.

პირველად ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში მისი ნაკრები გახდა ევროპის ჩემპიონი. და ეს გამარჯვება იყო დამსახურებული, მათ ხუთივე მატჩში გაიმარჯვეს! მატჩის პირველ ნახევარში მინდორზე თანაბარი ორთაბრძოლა იყო. ესპანელებს დისკვალიფიკაციის გამო აკლდათ გორდილიო და წინა შეხვედრების გმირი მასედა. ფრანგებს კი შეტევაში არ გამოუვიდათ თამაში. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ – 0-0. მეორე ნახევრის დასაწყისში ფრანგები გავიდნენ წინ, პლატინიმ ჯარიმიდან გახსნა ანგარიში – 1-0. ეს იყო მისი მე-9 გოლი ამ ჩემპიონატში. ამის შემდეგ მინდორზე დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე, როცა გააძევეს ლე რუ, ესპანელები მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე. ამით ისარგებლეს ფრანგებმა. კერძოდ, შეხვედრის უკანასკნელ წუთზე ტიგანა, რომელმაც ნახევარფინალშიც დაიმსახურა უმაღლესი შეფასება, შეიჭრა ესპანელთა საჯარიმოში, გადააწოდა ბურთი ბელონის და 22 წლის ფორვარდმა წერტილი დაუსვა ამ მატჩს – 2-0. ფრანგებმა – ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ფინალურ ეტაპზე ფრანგებმა გაიტანეს 14 ბურთი, და აქედან მხოლოდ ერთი მოდის თავდამსხმელთა ანგარიშზე.

***სპეციალისტების მიერ შედგენილი ევროპის სიმბოლური ნაკრები:***

ბენტუ (პორტუგალია), მასედა (ესპანეთი), ბატისტონი, ბოსი (ორივე – საფრანგეთი), არნესენი, ლერბიუ (ორივე – დანია), ტიგანა (საფრანგეთი), შალანა (პორტუგალია), ჟირესი, პლატინი (ორივე – საფრანგეთი), ელკიაერი (დანია).



*1984 წლის 27 ივნისი. პარიზი. საფრანგეთის ნაკრები – ევროპის 1984 წლის ჩემპიონი; მარცხნივ – საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი და ჩემპიონატის ბომბარდირი მიშელ პლატინი ევროპის ჩემპიონის თასით.*



*მიშელ პლატინი*



*ფინალური მატჩი დასრულდა. (მარცხნიდან): ბატსი, ამორო ჟირესი, სიკსი.*



*პირველი ჯგუფის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის ეპიზოდი. ბოსისა და დანიელთა ლიდერის ელკაიერის (მარჯვნივ) ბრძოლა ბურთისათვის.*

## ტექნიკური შედეგები:

### შესარჩევი ეტაპი

***I ჯგუფი***

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-8 | 9 |
| 2. შვეიცარია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-9 | 6 |
| 3. გდრ | 6 | 2 | 1 | 3 | 7-7 | 5 |
| 4. შოტლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 8-10 | 4 |

***II ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 6 | 5 | 0 | 1 | 11-6 | 10 |
| 2. სსრკ | 6 | 4 | 1 | 1 | 11-2 | 9 |
| 3. პოლონეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 4 |
| 4. ფინეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-14 | 1 |

***III ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 8 | 6 | 1 | 1 | 17-5 | 13 |
| 2. ინგლისი | 8 | 5 | 2 | 1 | 23-3 | 12 |
| 3. საბერძნეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-10 | 8 |
| 4. უნგრეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 18-17 | 7 |
| 5. ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 5-36 | 0 |

***IV ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუგოსლავია | 6 | 3 | 2 | 1 | 12-11 | 8 |
| 2. უელსი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 7 |
| 3. ბულგარეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 5 |
| 4. ნორვეგია | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 4 |

***V ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 9-3 | 12 |
| 2. შვედეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 14-5 | 11 |
| 3 ჩეხოსლოვაკია | 8 | 3 | 4 | 1 | 15-7 | 10 |
| 4. იტალია | 8 | 1 | 3 | 4 | 6-12 | 5 |
| 5. კვიპროსი | 8 | 0 | 2 | 6 | 4-21 | 2 |

***VI ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გფრ | 8 | 5 | 1 | 2 | 15-5 | 11 |
| 2. ჩრ.ირლან. | 8 | 5 | 1 | 2 | 8-5 | 11 |
| 3. ავსტრია | 8 | 4 | 1 | 3 | 15-10 | 9 |
| 4. თურქეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-16 | 7 |
| 5. ალბანეთი | 8 | 0 | 2 | 6 | 4-14 | 2 |

***VII ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 24-8 | 13 |
| 2. ჰოლანდია | 8 | 6 | 1 | 1 | 22-6 | 13 |
| 3. ირლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 20-10 | 9 |
| 4. ისლანდია | 8 | 1 | 1 | 6 | 3-13 | 3 |
| 5. მალტა | 8 | 1 | 0 | 7 | 5-37 | 2 |

### ფინალური ტურნირი

***I ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგ. | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 2. დანია | 3 | 2 | 0 | 1 | 8-3 | 4 |
| 3. ბელგია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 2 |
| 4. იუგოსლავია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |

***II ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. გფრ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. რუმინეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

***ნახევარფინალი***

საფრანგეთი – პორტუგალია 3-2

დანია – ესპანეთი 1-1 (4-5 პენ.)

***ფინალი: საფრანგეთი – ესპანეთი 2-0.*** პარიზი. „პარკ დე პრენსი". 47.200 მაყურებელი.

***საფრანგეთი:*** ბატსი, ბოსი, ბატისტონი (ამორო, 73), ლერუ, ფერნანდესი, ტიგანა, ჟირესი, დომერგი, ლიაკომბი (ჟენგინი, 80), პლატინი, ბელონი.

***ესპანეთი:*** არკონადა, გალიეგო, ურკიაგა, სალვა (რობერტო, 85), სენიორი, ვიქტორი, ფრანსისკო, კამაჩო, ხულიო ალბერტო (სარაბია, 77), სანტილიანა, კარასკო.

***გოლები:*** პლატინი 57 (1-0), ბელონი 90 (2-0).

***მსაჯი:*** ვ. ხრისტოვი (ჩეხოსლოვაკია).

***ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი:*** მიშელ პლატინი – 9 ბურთი.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი.

*ფოტოები „ლელოს" არქივიდან.*

## «ფორმულა–1»

# შუმახერის 30 საბედისწერო წამი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი კვირას გამართულ 50-ე მსოფლიო ჩემპიონატის მე-8 ეტაპის პირველსავე წრეზე გამოეთიშა ასპარეზობას. ამის მიზეზი გახდა ავარია, რომლის მსგავსი თავის კარიერაში, არასდროს განუცდია „ფერარის" ამ ცნობილ მრბოლს. ჯერ მხოლოდ 30 წამი იყო გასული სტარტიდან, როცა შუმახერის მანქანამ „სტოუვის" მოსახვევში განიცადა მარცხი — მოხდა თვითდამუხრუჭება, საჭე გაიჭედა და 200 კმ. სიჩქარით მიმავალი მანქანა ჯებირს შეასკდა. პილოტი პირდაპირ ტრასიდან გააქანეს ჰოსპიტალში. მოელოდნენ სიცოცხლისთვის საშიშ მძიმე ტრავმას, მაგრამ, შემოწმებისას, საბედნიეროდ, მხოლოდ მარჯვენა ფეხის მოტეხილობა დაფიქსირდა. თუ რამდენი ხნით გამოეთიშა შუმახერი 1999 წლის ჩემპიონატს, ჯერ უცნობია. საგულისხმოა, რომ შუმახერის მთავარმა მეტოქემ მიკა ჰაკინენმა რბოლა შეწყვიტა და ავარიის ადგილზე მიირბინა, ჰაკინენს სხვებმაც მიბაძეს და რბოლა შეწყდა. კარგა ხნის შემდეგ, როცა ტრასა მოაწესრიგეს და დამცავი ჯებირი აღადგინეს, რბოლა განახლდა. ცხადია, უშუმახეროდ. განმეორებითი სტარტი ჰაკინენმა მოიგო.

შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მაკლარენის მეორე პილოტმა დევიდ კულტჰარდმა, რომელმაც გაუსწრო მეორე პოზიციაზე მყოფ ირვინს. მესამე ადგილზე გავიდა შუმახერის უმცროსი ძმა რალფი. 8 ტურის შემდეგ პირად ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: 1. ჰაკინენი (ფინეთი) — 40, 2. მიხაელ შუმახერი (გერმანია) — 32, 3. ირვინი (ინგლისი) — 32, 4. პრენცენი (გერმანია) — 26, 5. კულტჰარდი (ინგლისი) — 22, 6. რალფ შუმახერი (გერმანია) — 19, 7. ფიზიკელა (იტალია) — 13, 8. ბარიჩელო (ბრაზილია) — 10, 9. ჰილი — 5, 10. ჰერბერტი (ორივე — ინგლისი) — 2, 11. დინისი (ბრაზილია) — 2.

***გუნდური:*** 1. ფერარი — 64, 2. მაკლარენი — 62, 3. ჯორდანი — 31, 4. უილიამსი — 19, 5. ბენეტონი — 14, 6. სტიუარტი — 12, 7. ზაუბერი — 3, 8. პროსტი — 2, 9. ეროუზი — 1.




## „ტოტო-ლოტო" — მილიონთა თამაში!

*11 ივლისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეშვიდე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

**1. 5. 7. 24. 31. 36.**

3 ციფრი - 1.70 ლარი.

4 ციფრი - 19.10 ლარი.

5 ციფრი - 1628.90 ლარი - გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი" 36 625 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **5. 1. 4. 0. 0. 7. 2.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 18 ივლისს.

ტირაჟის დროს მომენტალური ლატარიების „გოლი 98"-ის და „ოლიმპის" მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები და 26 სექტემბერს ჩასატარებელ პირველი ტელეგათამაშება „გოლი ოლიმპი"-ზე დასწრების უფლება წილად ხვდათ:

ლატარია „ოლიმპ"-ში - ხათუნა ცაავას (ზუგდიდი) - ბილეთის №068782;

ლილი ხუნდაძეს - ბილეთის №063216 (სამტრედია);

ლატარია „გოლი 98"-ში ალექსანდრე მდინარაძეს (ოზურგეთი) - ბილეთის №02616-097;

ტარიელ ფეიქრიშვილს (თბილისი) - ბილეთის №02651-075 ჩააბარეთ მოუგებელი ბილეთები.

გამავრცელებლებს! გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## საუკუნის საუკეთესო სპორტსმენები

**ბუდაპეშტში გაიმართა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (აიპს) კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. მან დაასახელა და დააჯილდოვა XX საუკუნის 25 საუკეთესო სპორტსმენი.**

აი ისინიც: ***მუჰამედ ალი*** (აშშ, კრივი) — ოლიმპიური ჩემპიონი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, ***ფრანც ბეკენბაუერი*** (გერმანია, ფეხბურთი) — მსოფლიო ჩემპიონი, ***უეინ გრეცკი*** (კანადა, ჰოკეი) მსოფლიო ჩემპიონი, ***მაიკლ ჯორდანი*** (აშშ, კალათბურთი) — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ***ემილ ზატოპეკი***(ჩეხეთი, მძლეოსნობა) — ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 18-გზის მსოფლიო რეკორდსმენი. ***ალექსანდრ კარელინი***(რუსეთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რვაგზის მსოფლიო ჩემპიონი. ***სავაო კატო*** (იაპონია, ტანვარჯიში) — რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი. ***კიპჩოგე კეინო*** (კენია, მძლეოსნობა) — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი. ***ჟან-კლოდ კილი*** (საფრანგეთი, სამთო მოთხილამურე) — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი. ***ნადია კომანეჩი*** (რუმინეთი, ტანვარჯიში) — ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი. ***ლარისა ლატინინა*** (რუსეთი, ტანვარჯიში) — ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი. ***ნიკი ლაუდა*** (ავსტრია, ავტორბოლა). ***კარლ ლუისი***(აშშ, მძლეოსნობა) — ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რვაგზის მსოფლიო ჩემპიონი, ცხრაგზის მსოფლიო რეკორდსმენი. ***ედი მერქსი*** (ბელგია, ველოსპორტი) — ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი, ***ლი ნინი***(ჩინეთი, ტანვარჯიში) — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონი. ***პაავო ნურმი*** (ფინეთი, მძლეოსნობა) — ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 22-გზის მსოფლიო რეკორდსმენი. ***ჯესი ოუენსი***(აშშ, მძლეოსნობა) — ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ექვსგზის მსოფლიო რეკორდსმენი. ***ლასლო პაპი*** (უნგრეთი, კრივი) — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. ***პელე***(ბრაზილია, ფეხბურთი) — სამგზის მსოფლიო ჩემპიონი. ***ფერენც პუშკაში*** (უნგრეთი, ფეხბურთი) — ოლიმპიური ჩემპიონი. ***მარკ სპიტცი*** (აშშ, ცურვა) — ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 33-გზის მსოფლიო რეკორდსმენი. ***ნაიმ სულეიმან-ოღლუ*** (თურქეთი, ძალოსნობა) — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 22-გზის მსოფლიო ჩემპიონი, 45-გზის მსოფლიო რეკორდსმენი. ***ხუან-მანუელ ფანხიო*** (არგენტინა, ავტორბოლა) — ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი. ***დონ ფრეიზერი***(ავსტრალია, ცურვა) — ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 27-გზის მსოფლიო რეკორდსმენი ***ბობი ჩარლტონი*** (ინგლისი, ფეხბურთი) — მსოფლიო ჩემპიონი.

დაჯილდოვებულთა ნაწილი თვით ჩავიდა ბუდაპეშტში და პრიზები მიიღო. 1973 წელს გარდაცვლილ პაავო ნურმის ჯილდო მისმა შვილმა მიიღო, ხოლო ავადმყოფ ემილ ზატოპეკის ნაცვლად — მისმა წარმომადგენელმა.




# მეტად მშვიდი ლინდსეი დევენპორტი

დევენპორტი 23 წლისაა. კარგა ხანს რაიმე დიდი წარმატება არა ჰქონია, რადგან მოუხეშავი იყო და შესამჩნევად ზედმეტი წონაც ჰქონდა. მას აღარ აკმაყოფილებდა საერთაშორისო ტურნირებში მუდმივად საშუალო ადგილები, ბევრი ივარჯიშა, თითქმის 15 კილოგრამი დაიკლო წონაში და შედეგებმაც არ დააყოვნა. შარშან აშშ-ს ღია პირველობაზე გაიმარჯვა, წელს ბრწყინვალედ მოიგო უიმბლდონი.

● ***გრაფთან ფინალურ მატჩში მეტად დამშვიდებული იყავით. ეს იმან ხომ არ გამოიწვია, რომ არ ელოდით თქვენს კარიერაში ასეთ მოულოდნელ ცვლილებებს?***

— საქმე ის არის, რომ გადამწყვეტ მომენტში თავის დაჭერა ვისწავლე, ჩემს თავს, უბრალოდ, ვახსენებ: „შენ ხომ ყველაფერს სწორად აკეთებ. მალე ყველაფერი დამთავრდება და შენ გაიმარჯვებ", თუმცა კორტზე ფიქრის დრო არ არის.

● ***მომდევნო ტურნირში მიზნად ხომ არ დაისახავთ თუნდაც მეოთხედფინალში გასვლას?***

— ასეთი მიზანი უიმბლდონშიც კი არა მქონია. უბრალოდ, მაინტერესებდა, ყოველივე ეს რითი დამთავრდებოდა. რა თქმა უნდა, დაუჯერებლად ჩანს, რომ ტურნირი ისე მოვიგე, ერთი სეტიც არ დამითმია.

● ***იმან, რომ შარშან 17 კვირით მსოფლიოს №1 ჩოგანი გახდით, შეცვალა თქვენი შეხედულებები ჩოგბურთზე?***

— დიახ. შარშან აშშ-ს ღია პირველობაზე დავეუფლე „მუზარადს", წელს კი უიმბლდონში სხვა საფარზე გავიმარჯვე, ეს იმაზე მეტყველებს, რომ უნივერსალური მოთამაშე ვარ.

● ***ერთი სიტყვით, საკუთარ თავს უკვე სხვა კატეგორიის ჩოგბურთელებს მიაკუთვნებთ, ვიდრე შარშან იყავით?***

— შარშან კი არა, უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით: ორი ან სამი წლის წინათ. ახლა ეს ჩემი მეორე „მუზარადი" იყო, ამას ოლიმპიადაზე გამარჯვებაც დავუმატოთ. ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე სხვა კლასის ჩოგბურთელი ვარ.

● ***შეიძლება შევადაროთ თქვენი ახლანდელი უიმბლდონის გამარჯვება შარშანდელ პირველ ადგილს ნიუ-იორკში?***

— ამერიკაში მაშინ ჩემზე შექმნილი იყო აზრი, თითქოს მაღალი რანგის ტურნირებში გამარჯვება არ შემეძლო. უიმბლდონში გამარჯვებით კი კრიტიკოსებს დავუმტკიცე, რომ ისინი სცდებოდნენ.

● ***გამოდის, რომ თქვენ დიდ ჩოგბურთში გარკვეული ეპოქა დაასრულეთ. შტეფი გრაფმა განაცხადა, რომ ეს მისი უკანასკნელი უიმბლდონი იყო. რას იტყვით ამის შესახებ?***

— ეს მისი სატელევიზიო გამოსვლისას მოვისმინე. მართალია, მან იგივე „როლან გაროსის" შემდეგაც თქვა. მაშინ გავიფიქრე, რომ უჭირდა, ფიზიკური თვალსაზრისით, გრუნტის კორტზე თამაში. ახლა კი მივხვდი, რომ მართლაც ანებებს თავს ჩოგბურთს. ეს, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. მეორე მხრივ, მან ძალიან ბევრს მიაღწია, ახლაც კარგად თამაშობს. აი, რომ ყველას ასეთ დონეზე დაგვესრულებინა ჩვენი კარიერა!

● ***ბოლო ქულა რომ მოიპოვეთ, ატირდით.***

— დიახ, წონასწორობა დავკარგე, არ მინდოდა იმის დაჯერება, რაც მოხდა.

● ***რა გითხრათ პრინცესამ? (ლაპარაკია უიმბლდონის მფარველზე).***

— იგი ძალზე თავაზიანი იყო. ეს ხომ უიმბლდონის მშვენიერი თავისებურებაა — ჯილდოს სამეფო ოჯახის წევრი გადცემს. მითხრა: „ეს აღტაცების ღირსია. ვამაყობთ შენით. დიდი გამარჯვებაა". გასაოცარი შეგრძნება მქონდა. არავითარი სიტყვები, არავითარი მიკროფონი. მხოლოდ შენ, ვერცხლის სასალათე და საზოგადოება.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

**13 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. Iარხი.*** მინიფეხბურთი. საქართველო — სომხეთი. ამხანაგური მატჩი (18.30), ***II არხი.*** სუპერმატჩი (20.00), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი (13.15), ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98-99 წ.წ. სეზონი: „გალათასარაი — „იუვენტუსი (16.00), „დინამო (კიევი) — „პანათინაიკოსი" (22.40), "Copa America" (ამერიკის თასი). მეოთხედფინალი (19.15), ამერიკის თასის მეოთხედფინალების შედეგები (21.00, 0.20), მსოფლიოს ფეხბურთი (22.10). ***ESPN.*** კარატე (11.00), ველორბოლა: „ტურ დე ფრანსი" (20.30, 23.30). ***EUROSPORT.*** „ტურ დე ფრანსი" (12.00, 13.00, 20.30, 0.00)

**14 ივლისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***ევრიკა.*** „სტუმარი" (21.00), ***НТВ.*** ფეხბურთი. ცსკა — „ალანია (21.00). ***НТВ плюс футбол.*** „ამერიკის თასი" ნახევარფინალი (13.15, 19.55), მსოფლიო ფეხბურთი (15.30), ჩემპიონთა ლიგის არქივი. „დინამო (კიევი) — „პანათინაიკოსი" (16.00). ჩემპიონთა ლიგა: I საკვალიფიკაციო რაუნდი (21.50, 23.40). ***НТВ плюс спорт.*** თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი (11.40). ***ESPS.*** „ტურ დე ფრანსი" (9.30, 21.00), ***EUROSPORT.*** „ტურ დე ფრანსი" (11.30, 13.30, 1.45), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. საკლასიფიკაციო მატჩები (23.30).

**15 ივლისი, ხუთშაბათი.**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** „ამერიკის თასი". ნახევარფინალი (13.15, 22.35). ჩემპიონთა ლიგა. საკლასიფიკაციო მატჩები (0.20), ***ESPN.*** ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი" (9.30, 22.00). ფეხბურთი. ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (15.00). ***EUROSPORT.*** „ტურ დე ფრანსი" (11.30, 15.00, 20.30, 0.00). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები (23.00).

**საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" თანაუგრძნობს სპორტის ოსტატს ამურ დუდუჩავას ᲓᲔᲓᲘᲡ გარდაცვალების გამო.**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ესპანეთის კლუბი, 5. ლეგენდარული ჩეხი მეკარე, 9. თბილისის „დინამოს" მეკარე 1948-58 წლებში, 10. 1989 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი, 12.დანიელი მცველი, ევროპის 1992 წლის ჩემპიონი, 14. შვეციის კლუბი, 15. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი, 17. ცნობილი ინგლისელი მსაჯი, 19. სპორტსმენების საზეიმო დათვალიერება, 20. „ბაიერნის" ბრაზილიელი თავდამსხმელი, 21. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მარცხენა გარემარბი, 22. „ნიურნბერგის" მეკარე, 23. „იუვენტუსის" და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი 60-80-იან წლებში, 25. იტალიის კლუბი, 29. აზიის ჩემპიონი 1968, 1972 და 1976 წლებში, 30. ცნობილი რუსი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 31. საფრანგეთის კლუბი, 32. კვიპროსის კლუბი, 34. „ტოტენჰემის" ფრანგი თავდამსხმელი, 35. სპორტული ნაგებობა, 36. „ალავესის" თავდამსხმელი, 37. „პარმას" კოლუმბიელი თავდამსხმელი.

**შვეულად:** 1. საქართველოს კლუბი, 2. ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი 80-90-იან წლებში, 4. იტალიელი თავდამსხმელი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 6. ავსტრიის ნაკრების მეკარე 1970-85 წლებში, 7. თავდამსხმელი, 8. საქართველოს 1996 წლის საუკეთესო ფეხბურთელი 11. ჰოლანდიის კლუბი, 13. გერმანელი მცველი, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 14. „ოქროს ბურთის" 1990 წლის მფლობელი, 15. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. 16. 1967 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 18. „ბაიერნის" თავდამსხმელი, 23. ბრაზილიელი მცველი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, 24. ესპანელი მეკარე, ევროპის 1984 წლის ვიცე-ჩემპიონი, 25. 1994 წლის მსოფლიოს საუკეთესო მეკარე, 26. ფრანგი მცველი, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი, 27. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 28. 1986 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 33. არგენტინის ნაკრების ყოფილი მეკარე, 34. ფრანგი ნახევარმცველი, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ბარსელონა. 3. ტრამპლინი. 8-9. ანდრადე. 10. რედონდო. 11-13. არტიმე. 14. სკონტო. 17. ფიშერი. 21. ილიადი. 23. გერევიჩი. 27. სპარტაკი. 31. ერანიო. 35. ორტერი. 36-37. ალემაო. 38. რივერა. 39-40. ოზეროვი. 41. სანეევი. 42. ალპინისტი. 43. შოლანდერი. **შვეულად:** 1. ბირჰოფი. 2. ლიდერი. 4. მენოტი. 5. იაპონია. 6-19. მენეა. 7-20. პრესი. 11. არახამია. 12. მარაკანა. 15. კრისტალი. 16. ოლივეირა. 18. შტანგა. 22. ანთაძე. 26. ქეცბაია. 30. ვილნევი. 32. ოლსენი. 33. ნოდია. 34. ბრასი. 35. ორტეგა. **დიაგონალურად:** 24-29. რივა. 28-25. აუზი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. ლb3! მუქარა 2. ლ:c3X.**

**1. ...მb5 2. ლ:c4X.**

**1. ...მd5 2. ეe4X.**

**1. ...cb 2. მ:b3X.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე